სახალხო გაზეთი

№ 575 კვირა, 15 აპრილი, 1912 წ. № 575

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

|სურათებიანი დამატება|

მიიღება ხელის-მოწერა

წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.

| აპრილიდან წლის ბოლომდე ღირს 6 მ. 75 კ.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

კვლავ ვაცხადებთ, რომ „სახალხო გაზეთს“ **ფულის მიღების უფლებით, არავითარი აგენტი არსად არა ჰყავს, გარდა წ.-კ. საზ. მთავარ მაღაზიისა,**

და ამიტომ პასუხსაც არავის წინაშე არ აგებს.

„სახალხო გაზეთი“-ს კანტორა.

13 აპრილს, დილით, ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **ლანჩხუთში კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი**

დომენტი |იუსტინე| ნიკოლოზის ძე ურუშაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **მამა ნიკოლოზ გიგოს ძე, დედა ფედოსია, ძმები: კირილე, სამსონ, რომანოზ, სერგო** და **შუტუ ურუშაძეები.** ცხედრის გამოსვენება და დაკრძალვა დ. ლანჩხუთში, კვირას, 15 აპრილს, წმიდა გიორგის ეკლესიაში. (2.366.2)

დიმიტრი ივანეს ძე და **ბარბარე მიხეილის ასული ლოლაძენი** შვილებითურთ, **დიდიდედა,** ბიძები **გიორგი** და **იოსებ მამაცაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 აპრილს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის ტფილისის მე-2-ე საქალებო გიმნაზიის მოწაფის

ლიზიკოს

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1.368.1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქ. ავ. (ქირურგიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო, ქალ. სნეულ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვის ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—314)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი წამლობს ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, **№ 10. ტელეფ. 792.** (თ.100—1534—201)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ ვადა „გრდემლის“ მე-II წიგნისთვის მასალების წარმოდგენისა, თანახმად ზოგიერთ მწერლების მიერ გამოთქმულ სურვილისა, გაგრძელებულია 30 აპრილამდე.

მისამართი მასალების გამოსაგზავნად: **ტფილისი, ოლგის შესახვევი № 5, გ. ს. რცხილაძეს.** (6.1185.4)

სარატოვის სარპინკის მექარხნეთა სავაჭრო სახლი

„ე. ე. მაიერ“,

ერევნის მოედანი, სასტუმრო „კავკაზის“ ქვეშ.

მივიღეთ აუარებელი რჩეული საქონელი,

საგაზაფხულო მოდური სარპინკის ქსოვილები

და საზღვარ-გარეთული დაფანჯრული ჩულქები ქალთათვის

—✦ **უმაღლესის ხარისხისა, ყველა საქონელზე საქარხნო ფასებია დადებული.** ✦—

(1.1116.1) პატივისცემით **სავაჭრო სახლი** „ე. ე. მაიერ“.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება კვირას, 15 აპრილს, გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო დილას, შემდეგი პროგრამით:

I **განყოფილება.** ✦ **ლექცია ილია ნაკაშიძისა** ✦ (ქართულად):

ეგნატე ნინოშვილი

შინაარსი: მხატვრული მწერლობის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებასა და ისტორიაში. ნამდვილი ხელოვნების საფუძველი. ე. ნინოშვილის ნაწერების განხილვა ნამდვილი ხელოვნების თვალსაზრისით. ე. ნინოშვილის მოთხრობების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. კაცთ-მოყვარეობა, როგორც საფუძველი მწერლის შემოქმედებისა. ე. ნინოშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართულ ცხოვრებასა და მწერლობაში

მეორე და მესამე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ—ყოფილი ადიუნქტ-პროფესორი მოსკოვის კონსერვატორიისა ფ. კ. ვილშაუ (დაუკრავს როიალზე), ქ-ნები რონელი-პიასეცკისა, ცაცა ამირეჯიბი, ო. ლეჟავა, მ. შავერზაშვილი; ბ-ნები: დანოვსკი, ტარასევიჩი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ანდრონი, მჭედლიშვილი, წულაძე, ადგილ. ფასი 5 კაპ.—50 კ.-მდე. დასაწყისი დილის 12 ნახ. საათზე. ბილეთები იყიდება: წ. კ. საზოგადოების კანტორაში, მასწავლებელ ქალთა კანტორაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. შემოსავალი მოხმარდება ავლაბრისა და ნავთლუღის ღარიბ ქართულ სკოლებს. (3.1303.3)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** **ტელეფ. № 795.**

კვირას, 15 აპრილს,

ახალგაზდა მსახიობი **დ. მგალობლიშვილი** ქართ. მსახიობთა ამხანაგ. მიერ გამართავს წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება

დ. ერისთავის ცნობილი ისტორიული პიესა **სამშობლო,** ისტორ. დრამ. 5 მოქმედებად.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ლიონიძე—გუნია, შახაბაზ—იმხნელი, ქეთევან—ქილარჯიშვილი, ხიმშიაშვილი—მგალობლიშვილი, ფაიხოშ—ტ. აბაშიძე. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი იმხნელი, გუნია, მესხი, მატარაძე, ჟღვიძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი, საფაროვი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყ. საღ. 8½ ს. ✦ ადმინ. **იორდანიშვილი,** რეჟ. **გუნია.** (3.1199.3)

თეატრი „ნაძალადევი“

კვირას, 15 აპრილს, „ნაძალადევის“ სცენის მოყვარეთა წრისაგან ე. ჩიქოვანისა და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ექიმი შტოკმანი, დრამა 5 მოქ. **იბსენისა.**

ადგილების ფასი —27 კაპ. **დასაწყ. სწორედ საღ. 8½ ს.**

(1.[illegible]00.1) რეჟისორი **სვ. სვიმონიძე.** ✦ მორიგი გამგე **იასონ ფანიაშვილი.**

ქუთაისი

შუაგულ ქუთაისში, „**მწვანე ბაზარში**“, **ახლად გაიხსნა**

ლამაზად გაკეთებული და მორთული

პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო

„**ბრისტოლი**“, მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

ფასები ზომიერია. ქუთაისი (25.1194.3)

ქუთაისი ქუთაისი

განცხადება

29 აპრილს, დილის ათ საათზე „ნაძალადევის“ თეატრში (ჩერქ. ქუჩა) დანიშნულია

საზოგადო კრება „ნაძალადევის“

სცენის მოყვარეთა წრის წევრთა ახალი გამგეობის ამოსარჩევად და წლიური ანგარიშის განსახილველად. წრის გამგეობა სთხოვს ძველ წევრთ შემოიტანონ ამ წლის საწევრო გარდასახადი, რათა ხმის უფლება არ დაეკარგოთ საზოგადო კრებაზე.

წრის გამგეობა. (3.1100.1)

ქუთაისში

● **ახალ ჭურჭლეულ-ავეჯეულობის მაღაზიაში** ●

ფ. ს. ფილიპპოვისა,

ალექსანდროვ.-ქ., ზ. კოკოჩევის შენობაში, ელექტრო-თეატრი „თამარის“ გვერდით.

საზოგადოების სურვილით

გრძელდება იშვიათი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

აპრილის დამლევამდე. ფასები ნაღდზედ და შეუვაჭრებლად.

(25.1187.8) პატივისცემით **ფ. ს. ფილიპპოვი.**

ქუთაისში ქუთაისში ქუთაისში

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., **№ 20.** (წ.—1022—33).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.** (25—1178—16)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 281)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. **№ 3,** ს. გაბაშვილისა. (უ

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„**გრდემლი**“

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.57)

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ღ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.20)

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. ✦ **თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
კავკავში—სოფიო კალანდარაშვილისთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

გამგეობა ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოდ, რომ მორიგი ჩვეულებრივი **წევრთა** საზოგადო

წლიური კრება

ბანკისა დანიშნულია (ნაცვლად 1 აპრილის კრებისა, რომელიც გადადებულ იქმნა) **25 ამა აპრილს,** ყვირილის საკრებულო დარბაზში **დილ. 10 ს. განსახილველი საგნებია:** 1. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1911 წ. ანგარიშის შესახებ. 2, მოხსენება საბჭოსი, ბანკის მდგომარეობის შესახებ. 3. მოხსენება გამგეობისა, ა) მ. გაჩეჩილაძის საბეჭდავი მანქანის შესახებ. ბ) განმარტება სამინისტროს კანცელარიისა წიგნებისა და შნურკას შესახებ. გ) წესდების მე-5 და 6-ე პარაგრაფ. შეცვლის შესახებ. დ) საკუთარი შენობის შეძენის შესახებ. ე) მოსამსახურეთა მომატების შესახებ და ვ) მოულოდნელი ხარჯების შესახებ. 4) დამტკიცება 1911 წ. ანგარიშისა. 5) დამტკიცება 1912 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 6. არჩევნები: ორი საბჭოს წევრისა, ნაცვლად რიგით გასულ, თ. ნანეიშვილისა და მელ. გაჩეჩილაძისა, ერთის გამგეობის წევრის ნაცვლად ილია მაღლაკელიძისა, რომელსაც კენჭით ხვდა გასვლა, არჩევა სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი კანდიდატებისა, აგრეთვე განცხადება გამგეობის თავმჯდომარის ტ. ნიორაძისა, სამსახურზე თავის დანებებისა და არჩევა სამაგიერო გამგეობის წევრისა. (3.1173.3

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების

ვერის ბიბლიოთეკა-სამკითხველო

გადავიდა ახალ ბინაზე: არამიანცის ქარვასლაში, ოლგის ქუჩაზე, № 29. ღიაა დილ. 10—2 საათ. და საღ. 6—8 ს. კვირა-უქმ.: დილ. 11—1 ს. ბიბლ.-სამკ. არის ყველა ქართული წიგნი და ჟურნ.-გაზ. მოსწ. და მუშათ. თვიური გადასახადი 10 კაპ. (10—1207—1)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:

არჩილ მეფე. ცხოვ. მეფე თეიმურაზ პირველისა	50 კ.
ბარათაშვილი. ლექსები. გამოც. მერკვილაძისა	40 „
ბაჩანა. დიაკვნიანი	20 „
ბესიკი. ლექსები	30 „
განდეგილი. ლექსები	50 „
გრიშაშვილი. ოცნების კოცნა	10 „
გურამიშვილი. დავითიანი	1 მ. „
გურიელი მამია თხზ.	1 „ „
დადიანი ნ. ტ. საამდროვო გამოცანები	15 კ.
დუტუ-მეგრელი I	70 „
„ მწარე ფიქრები	20 „
ევდოშვილი ლექსები	60 „
ერისთავი რაფიელ I ტ.	1 მ. „
„ „ II ტ.	40 კ.
ვეფხის ტყაოსანი	60 „
ვაჟა-ფშაველა. თხზ.	1 მ. „
„ ახუნდი	5 კ.
„ ცრემლები	50 „
თეიმურაზ მეფის ლექსები	30 „
ორბელიანი გრ. ლექს.	20 „
ორბ. „ ვახტანგ	60 „
„ ნინო	30 „
„ოჰ, მარგალიტავ“ ტ სხ. სასიმღ.	10 „
პატარა კრებული საუკეთესო ლექსებისა	15 „
პოემების კრებული	5 „
რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი. პოემა	15 „
სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1	20 „
„ ცხოვრ. სურათები № 2	20 „
„ აღსარება № 3	5 „
„ ლექსები 1878—1891	50 „
„ სიმები	5 „
ქართვ. პოეტ. რჩეული ლექსები	25 „
ჩახრუხაძე. ქნარი	20 „
შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
„ ქება-ქებათა სულამიტ.	10 „
ცახელი. რავდენიმე ლექსი	15 „
ცისარტყელა. სალიტერატურო კრებული	15 „

ადრესი: Тифлисъ. О-во распространенія грамотности. (წ.—1141—26)

საფუძვლიან გადაკეთების შემდეგ **გაიხსნა** ახალ პატრონთა ხელში გადასული

კაფე-პარიზი

ქართველ თავად-აზნაურთა სახლი, სასახლის ქუჩაზე.

ღია იქნება ღამის 2 საათამდე

11—1 საათ. ◆ 1—5 ს. ◆ 5—2 ს

საუზმე—30 კ. ◆ **სადილი.** ◆ **ვახშამი**—30 კ.

ყოველ დღე: ღომი დოშით, საცივი, ხარჩო, და სხვა საგულისგულო საჭმელები, როგორც ევროპიული, ისე აზიური. **კერძები:** მხოლოდ წმინდა ერბოთი მზადდება ცნობილ მზარეულის მეთვალყურეობით. **ყავახანა გაფართოვებულია.** მივიღეთ ახალი **ბილიარდები გოცისა.** საჭმელებს სახლებშიაც ვამლევთ თვიურად, დიდის შეღავათით.

(თ.—113—31)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. საკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.

და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ჟესტი“, სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია. (25 1195.5)

სასტუმრო „ევროპა“

(ტფილისი, მიხეილის პროს.3 № 102, ტელეფ. № 654.

სრული სისუფთავე და ხელმისაწვდომი ფასები. სადილი ევროპიული და ქართული: ორი თავი 40 კ.; სამი თავი—60 კ.; ოთხი—80 კ.; სადილ-ვახშმის დროს უკრავს ოკესტრი. **პატივისცემით ი. ნ. თოფურია.** (1.365.1)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის

საბჭო

იწვევს წევრთ, საზოგადო **წლიურ კრებაზე,** მიმდინარე წლისა 3 აპრილს დ. ჭიათურაში, ადგილობრივ თეატრის დარბაზში, დილის 11 საათზე. **განსახილველი საგნებია:** ა) მოხსენება საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა ბ) წლიურ (1911 წ.) ანგარიშის განხილვა და დამტკიცება გ) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. დ) არჩევნები გამგეობის ორის წევრისა, საბჭოს ორის წევრისა და სარევიზიო კომისიისა.

რადგანაც პირველი კრება, დანიშნული 8 აპრილს, არ შესდგა ამის გამო ეს კრება მეორეა და რამდოლი წევრიც უნდა დაესწროს კრება კანონიერი იქნება. (3. 1164. 1)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოგოსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.

არგუთინსკი. შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალმაკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.

რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—1 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ. 1032—75).

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფმი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით ნიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 145)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветической ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.138)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-

(წლ.—1018—252)

ექიმი კბილისა **არჩილ** (გიორგი) ბ-ძე **დოლიძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა** № 166. (25.1179.16)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ, 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—7).

ექიმი კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—72)

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mntheu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39. ტელეფონი № 1067) (100—1117—140

ექიმი ვ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.92).

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ტფილისი, 15 აპრილი

ლენის გაფიცვა და მთავრობის განმარტება. ლენის მაღაროებში მომხდარ ამბების გამო, როგორც ჩვენ მკითხველებსაც ეცოდინებათ, იმდენად აღაშფოთა მთელი რუსეთის საზოგადოება, რომ სათათბირომ შეკითხვა სასწრაფოდ აღიარა და მთავრობას პასუხი მოსთხოვა. წარსულ სხდომაზე შინაგან საქმეთა და ვაჭრობის მინისტრებმა თავიანთი განმარტება მისცეს სათათბიროს. საინტერესოა შინაგან საქმეთა მინისტრის დასაბუთება ლენის ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედებისა. მინისტრის აზრით, ჯარი და ადმინისტრაცია სრულიად კანონიერად მოიქცა. ადმინისტრაციასა და სასამართლოს მოხელეებს აუცილებლად უნდა დაეტუსაღებინათ გაფიცვის ხელმძღვანელი კომიტეტი, ჯარსაც აუცილებლად უნდა ესროლა, რადგანაც გაფიცულთა ბრბო ჯარს იარაღის აყრით ემუქრებოდაო. ყველა ამ მოქმედებაში მინისტრი მშვიდობიან გაფიცვაში ჩარევას არა ჰხედავს. სათათბირო კი სწორედ იმას უკიჟინებდა, რომ მთავრობა მშვიდობიანად მიმდინარე გაფიცვაში ჩაერია და ამით გამოიწვია ისეთი ურთიერთობა მუშათა და ადმინისტრაციის შორის, რომელმაც 4 აპრილის კატასტროფამდე მიიყვანა საქმე.

მინისტრმა ბევრი ილაპარაკა გაბოროტებულ აგიტატორებზე, გაფიცვის სოციალისტურ ხასიათზე, მაგრამ უმთავრესი საგანი კი მაინც გამოურკვეველი დარჩა. თუმცა მინისტრი კატეგორიულად აცხადებდა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან, რომ ბრბო იერიშით მიდიოდა ჯარზეო, მაგრამ არა ნაკლებ კატეგორიულად ამბობს პრესა, რომ გაფიცულები სრულიად მშვიდობიანად იქცეოდნენ იმ დრომდე, სანამ ადმინისტრაცია ჩაერეოდა გაფიცვაშიო. გამოურკვეველია ისიც, რამდენად მართალია მინისტრის ცნობა, რომ მუშებს იარაღის აყრა უნდოდათ. მაგრამ დავეთანხმოთ ცოტა ხანს მინისტრს. ვსთქვათ, მუშები მართლაც იერიშით მივიდნენ ჯარზე და ისეთს პირობებში ჩააყენეს, რომ ისიც „იძულებული გახდა ესროლა“. ასეთი პასუხი მაინც არ ამტკიცებს, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედება კანონიერი იყო. სათათბიროს შეკითხვის უმთავრესი ძალა იმაშია, რომ უკანონოდ აცხადებს თვით გაფიცვის ხელმძღვანელ კომიტეტის დატუსაღებას. სქემა გაფიცვის მიმდინარეობისა ამნაირია. მუშები გაიფიცნენ. სწარმოებს მოლაპარაკება მუშებსა და ლენის ამხანაგობის ადმინისტრაციის შორის. მოწინააღმდეგენი ვერ შეთანხმდნენ. პატარ-პატარა ეპიზოდები გაფიცვის მშვიდობიან მიმდინარეობას არღვევს, მაგრამ საზოგადოდ წესიერება მაინც არ დარღვეულა, გაფიცვის ერთი არა სასიამოვნო ეპიზოდთაგანია მუშების გაყვანა ამხანაგობის სადგომებიდან მომრიგებელ მოსამართლის განაჩენის თანახმად. რადგანაც იმ მხარეში სადგომები არ არის, მუშები, რა თქმა უნდა, სახლებს თავს არ ანებებენ. მინისტრს ასეთი ჯიუტობა უკანონოდ მიაჩნია; თუმცა მეორე მინისტრის სიტყვით, სრულიად საწინააღმდეგო სურათი იშლება. ვაჭრობის მინისტრმა, გარდა იმისა, რომ საზოგადოდ ბევრი ნაკლი აღნიშნა ლენის ამხანაგობის მოქმედებაში, ბინების საკითხიც სულ სხვანაირად გააშუქა. აი როგორ გადმოგვცემს დეპეშა მინისტრის სიტყვის ამ ადგილს: „საქმე გაართულა იმანაც, რომ ადგილობრივმა მოსამართლემ 42 მუშის სახლობას ბინის დაცლა მიუსაჯა, რადგანაც **დამნაშავედ იგი** სცნო და **არა ამხანაგობა.** ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ირკუტსკის გუბერნატორმა შეაჩერა, რადგანაც იმ მიდამოებში სხვა არავითარი ბინები არ მოიპოვებოდა. **სამთო უწყებამ დამნაშავედ სცნო ამხანაგობა და არა მუშები.**

ამ რიგად, თვით მინისტრი აცხადებს, რომ მუშებისათვის შეუძლებელი ყოფილა ბინების დაცლა. ირკუტსკის გუბერნატორებსაც კი დაუნახავს ესო. ამას გარდა, სადავო ყოფილა ისიც, თუ ვინ არის დამნაშავე, ამხანაგობა თუ მუშები. მოსამართლეს მუშები მიაჩნია დამნაშავედ, სამთო უწყებას კი—ამხანაგობა. ამისთანა პირობებში განა შეიძლება თქმა, მუშები კანონს არ ემორჩილებოდნენ, ადმინისტრაცია კი კანონს იცავდაო?

ბინების საკითხი, რომელსაც სხვადა სხვანაირად აცნობს სათათბიროს შინაგან საქმეთა მინისტრი და ვაჭრობის მინისტრი, ერთი იმ ეპიზოდთაგანია რომელმაც ფერი უცვალა გაფიცვის მიმდინარეობას და საჩიფათო გზას დააყენა. აქაც დამნაშავენი არიან მთავრობის აგენტები, რომელნიც მუშებისაგან მოითხოვდნენ ბინების დაცლას იმ დროს, როდესაც ახლო-მახლო არავითარი ბინები არ იყო და ამასთანავე ჯერ კიდევ არ გამორკვეული, ვინაა დამნაშავე, მუშები თუ ამხანაგობა.

მიუხედავად ამ არა სასიამოვნო ეპიზოდისა, გაფიცვა მაინც მშვიდობიანად მიმდინარეობდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, ამხანაგობის სათავეში მდგომ კაპიტალისტებს მოთმინება ეკარგებათ. საჭირო ხდება გაფიცვის ლიკვიდაცია. მშვიდობიანი საშუალებით მორიგება ვერ მოხერხდა. მაშინ ადმინისტრაციამ მიჰმართა ნაცად საშუალებას, რეპრესიას, და დაატუსაღა რამდენიმე კაცი, რომელნიც გაფიცვის ხელმძღვანელ კომიტეტის წევრებად მიაჩნდა. აი, სწორედ ამ მომენტიდან იწყება ადმინისტრაციის გაფიცვაში ჩარევა. ორ მებრძოლ მხარეთა შორის იჩხირება ახალი ძალა და იგი ერთბაშად ფერს უცვლის გაფიცვის მიმდინარეობას. მუშებმა დატუსაღებულ ამხანაგების განთავისუფლება მოიწადინეს, ადმინისტრაციამ არ დაანება, და ბოლოს მთელი ეს ამბავი საშინელი კატასტროფით დასრულდა.

შინაგან საქმეთა მინისტრს, ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერების დასამტკიცებლად, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცია იმისთვის, თუ რამდენად კანონიერია დატუსაღება გაფიცვის ხელმძღვანელ კომიტეტისა, რადგანაც მხოლოდ ეს დატუსაღება გადაიქცა კატასტროფის იმპულსად. მინისტრმა დატუსაღების გასამართლებლად ორი საბუთი მოიყვანა: **პირველი:** გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ გადასახლებულნი, მაშასადამე, გაფიცვას უსათუოდ პოლიტიკური ხასიათი უნდა ჰქონოდა; **მეორე:** 1095 წლის 2 დეკემბრის კანონის ძალით, გაფიცვა შეიძლება, მაგრამ გაფიცვის მოწყობა და ხელმძღვანელობა კი არა. პირველი საბუთი სუბიექტიური ხასიათისაა და არავითარი იურიდიული საფუძველი არა აქვს. შეიძლება გაფიცვის ხელმძღვანელნი გადასახლებულნიც ყოფილიყვნენ, მაგრამ გაფიცვას მაინც პოლიტიკური ხასიათი არა ჰქონოდა. მართლაც, ასე იყო. თუ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებასაც პოლიტიკას დავუძახებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი შეგვიძლიან პოლიტიკად მოვნათლოთ. მაგრამ, თუ კი პოლიტიკა არ არის, მაშინ უნდა დამტკიცებულ ფაქტად ვაღიაროთ, რომ ლენის მუშებს არც ერთი მოთხოვნილება არ წარმოუდგენიათ, რომელსაც პოლიტიკური ხასიათი ჰქონდეს.

მეორე საბუთი პირველზე ახირებულია.

განა საეჭვოდ უნდა იყოს კიდევ ვისმესთვის, რომ იქ, სადაც გაფიცვაა, უსათუოდ გაფიცვის ხელმძღვანელიც არსებობს? უორგანიზაციოდ გაფიცვა წარმოუდგენელია. ალბად თვით მინისტრმაც კარგად იგრძნო, რომ ამ საბუთით ვერაფერს დაამტკიცებდა, და ამიტომ მთელი ძალა თავის მჭერ-მეტყველებისა აგიტატორებსა და გადასახლებულებს მიჰმართა.

მაგრამ ეს ხომ ისეთი სფეროა, სადაც ფანტაზიასა და სუბიექტიურ მსჯელობისთვის ფართო ასპარეზი ლა თავისი ფანტაზია. არ ვიცით, რას იტყვის სათათბირო მთავრობის განმარტების შესახებ, მაგრამ ამ განმარტებამ, რომ უფრო ცხად-ჰყო რეაქციონური სულის-კვეთება მთავრობისა, ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

როძიანკო თავმჯდომარეობს.

რიგს გარეშე **უდანოვი** აცხადებს გლეხობა და მემამულეები თესვის დაწყებას ვერა ჰბედავენ, რადგან პროფესორ გრიბოედოვის სიტყვით რუსეთში მოუსავლობა იქნებაო. 1909 წელსაც უთქვამს ამის მსგავსი გრიბოედოვს, მაგრამ არ გამართლებია ნათქვამი, მთავრობამ ხუთის წლით მაინც უნდა აუკრძალოს ამისთანა მეცნიერებს წინასწარმეტყველებაო.

კოვალევსკის მოხსენებით მიიღეს კანონ-პროექტი განათლების სამინისტროს საჭიროებისათვის კიდევ 8 მილიონ ფულის გადადებისა.

მიიღეს საბაჟო გადასახადთა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 10 მილიონად.

საზღვარზე მდგარ ცალკე კორპუსისათვის ხარჯი ნავარაუდევია მთავრობისაგან 14.933,762 მან. კომისიას დაუკლია 15,231 მან.

ბობიანსკი კრიტიკას უწევს მოსაზღვრე ჯარის საქმის ვითარებასა და აღნიშნავს, დასავლეთის საზღვრის დაცვის საქმე ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს და დაუახლოვდეს საბაჟოს უწყებასაო.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს კომისიის დანასკვით. ჰკითხულობენ სარკინიგზო ხარჯ-აღრიცხვას. ჩვეულებრივი ხარჯი ნავარაუდევია 14.976,394 მან. არაჩვეულებრივი 196,572 მან.

კლიმენკოსა, ჰმალევისა და თენიშევს საჭიროდ მიაჩნიათ რკინის გზის სარგებლობის უკედ მოწყობა.

შილოს შეაქვს წინადადება, რადგან ჩქარა გაათავებენ ამურის მხრის რკინის გზის გაყვანას, მთავრობა შეეცადოს აღმოსავლეთ-ჩინეთის გზა ჩინეთისავე მთავრობას გადასცესო. მოლაპარაკემ სათათბიროს მოაგონა, ერთხელ მანჯურიაში უკვე დაამარცხეს რუსეთიო. რაც უნდა მოვიწადინოთ, დიდ ხანს მაინც ვერ შევირჩენთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასაო.

ჩილიკინს უდროოდ მიაჩნია ეხლა ამ საკითხის წამოყენება. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი ძალიან რთულია და მოფიქრება გვმართებს რუსებსაო.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს საბიუჯეტო კომისიის დანასკვითა.

შილოს წინადადება უარჰყვეს.

ერჰარდტი კითხულობს საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვას. ხარჯი ნავარაუდევია 23,028,827 მანეთად.

მღვდ. ლებედევი აღნიშნავს ზოგიერთ ნაკლს საგლეხო და საადგილმამულო ბანკებისას. მოითხოვს, ბანკმა იმდენივე უნდა დაუთმოს იმათ, ვინც ამხანაგობით ყიდულობს მიწას, რამდენსაც ცალკე საკუთრებად მყიდველებსაო.

ლერხეს შეაქვს შესწორება, რითაც მოითხოვს 1899 წ. კანონის აღდგენას, რომელიც საეროზო დაწესებულებათ გზის გაყვანის ხარჯებისათვის ფულს გადასდებს.

ფინანსთა მინისტრი კოკოვცოვი. კარგად მესმის სათათბიროს მოუთმენლობა, მას ჰსურს ჩქარა მოისმინოს გარეშე საქმეთა მინისტრის განმარტება, მაგრამ ამის მიუხედავად, ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი. საგლეხო ბანკმა კანონი უნდა აასრულოს და განსაზღვროს კერძო პირისა და სათემოდ სყიდვა ადგილ-მამულისა. ამიტომ მღვდ. ლებედევის ფორმულა მისაღები ვერ არის. ვერ მივიღებთ ლერხეს ფორმულასაც. მთავრობამ გზის გაყვანისთვის უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი და ამიტომ ერობათათვის ფულის მიცემა ზედმეტია და 1899 წ. კანონიც საჭირო აღარ არისო.

ბერეზოვსკი პირველი აღნიშნავს საგლეხო ბანკის მოქმედების სისუსტეს.

ლერხე ამბობს, საგლეხო ბანკი საკრედიტო დაწესებულება ხომ არ არის, სამიწათამომწყობოა და ისე უნდა იმოქმედოს, როგორადაც ესაჭიროებაო.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს საბიუჯეტო კომისიის დანასკვით. მიიღეს აგრეთვე შესწორება ლერხესი, [illegible] ბანკმა უნდა ყურად იღოს ხოლმე მსესხებლის ქონების მდგომარეობა და სხვა და სხვა პირობებით უნდა გასცემდეს ფულსაო.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. განსახილველია გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა. მინისტრთა ლოჟაში სხედან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, გარეშე საქმეთა და ვაჭრობის მინისტრები და ბევრი თანაშემწე მინისტრთა.

პრესის წარმომადგენელთა, სადიპლომატიო კორპუსისა, სახელმწიფო საბჭოს წევრთა, სენატორთა და ხალხისათვის მიჩენილი ადგილები მთლად გატენილია.

კრუპენსკი კითხულობს ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ნავარაუდევია 6,569,190 მან. (?) და საბიუჯეტო კომისიის სახელით სურვილს განაცხადებს, საკონსულო სამსახურის საქმის მოგვარება, აღმოსავლეთის ენათა შესასწავლად აკადემიის დაარსებაა საჭიროო. საჭიროა აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯში მონაწილეობა მივაღებინოთ ფინლანდიასაცაო.

გარეშე საქმეთა მინისტრის სიტყვა. მინისტრმა შემდეგი სთქვა. ბ-ნნო სათათბიროს წევრნო! მე გავეცანი ყველა იმ მოსაზრებას, რაიც საბიუჯეტო კომისიას გამოუთქვამს გარეშე საქმეთა სამინისტროს საქმეთა გამო და შემიძლიან განვაცხადო: სამინისტრო დიდის ყურადღებით მოეპყრობა ყველაფერს დ შეძლებისამებრ შეეცდება იმ მოსაზრებათა ასრულებას, ვინაიდან რუსეთის საზოგადოებას ძალიან ეინტერესება დღევანდელი საგარეო პოლიტიკა რუსეთისა. ამიტომ მის უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ვთხოვე, ნება მოეცა გადმეშალა თქვენ თვალწინ ეხლანდელი საპოლიტიკო მდგომარეობა. საგარეო პოლიტიკას წინანდებრ საფრანგეთის მეგობრობა აქვს საფუძვლად. ამ მეგობრობამ ორივე მხარეს ნათლად დაუმტკიცა თავისი საჭიროება. გასული წლის ზაფხულს თვალყურს ვადევნებდით საფრანგეთსა და გერმანიას შორის მაროკოს გამო ატეხილ დავას და ძალიან გაგვახარა უთანხმოების მშვიდობიანად დათავებამ. საფრანგეთის მეგობრობა მოითხოვს დაახლოვებულ ურთიერთობას არა მარტო გაჭირების დროს, მშვიდობიანობის დროსაც და ამიტომ ხელმწიფე იმპერატორის ნება დართვით პარიზში გახლდით, პირადი ურთიერთობა დავიჭირე საფრანგეთის სახელმწიფოს მოღვაწეებთანა. ძალიან მესიამოვნა, რომ იქაც ძალიან საჭიროდ მიაჩნიათ ჩვენი მეგობრობა.

ჩემმა წინამორბედმა ერთხელ უკვე აღნიშნა თქვენს წინაშე ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეცვლა. საზოგადოდ ამ ურთიერთობას დიდი გაუმჯობესება ეტყობა, რასაც მოწმობენ თუნდ ამას წინად ჩამოსული ინგლისელი სტუმრები.

გერმანიის მეზობელი და ძველი მეგობარი ვყოფილვართ და ეხლაც არ შევცვლილვართ. ამ მეგობრობას, როგორც დავრწმუნდი, გერმანიაშიაც ძალიან აფასებდნენ. ჩემს აზრს ძლიერად ადასტურებს ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა და ვილჰელმის პოტსდამში შეხვედრა. ამ ბოლოს დროს ხმა გავრცელდა, ინგლისსა და გერმანიას მოლაპარაკება აქვთ გამართულიო. ჩვენ ძალიან გაგვახარებს, თუ ორივე სახელმწიფო მოსპობს ჩუმ შუღლსა და მეგობრად გადაიქცევა. მათი დამეგობრება რუსეთისათვის სრულიად არ იქნება საზარალო.

იტალიასთან კეთილად და მეგობრადა ვართ. ამის ნათლად დამამტკიცებელი გახლავთ ხელმწიფე იმპერატორის მიერ ვიქტორ—ემანუილის რაკონიჯში ნახვა. მეგობრობა თან და თან მკვიდრდება და განმტკიცების გზას ადგია. ამ მეგობრობას ხელს უწყობს ერთი რამ: იტალია და რუსეთი ერთნაირად უყურებს ბალკანეთის საქმეებსა და ბალკანეთის ერთა მშვიდობიანი განვითარება მიაჩნიათ საჭიროდ.

ბ-ნებო, თქვენ იცით, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ურთიერთობა ამას წინად გამწვავებული იყო. მაგრამ ორივე მხარე მორიგდა, შეთანხმების ნიადაგი მონახა იქ, სადაც რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესები ერთმანეთს ეხლართება. აი, რა ნიადაგზე შეთანხმდნენ: 1. ბალკანეთში სტატუსქვოს დაცვა. 2. ბალკანეთის სახელმწიფოთა მშვიდობიანი, დამოუკიდებელი

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:
ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,
და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 მარტამდე 2 მ., 1 **მაისამდე 2 მ.** და დანარჩენ მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
რადგანაც **მაისი** ახლოვდება ვთხოვთ, ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მოწერის უფლება, რომლის ძალითაც პრემია **მიიღო.**

„სახალხო გაზეთის" კანტორა.

ყვავილი.

ვეძებდი ყვავილს... ვეძებდი ყველგანა:
მოვლე ზღვა, ხმელეთი, მოვლე მთლად ქვეყანა!
ვეძებდი მშვენიერს, ვეძებდი სულის სწორს,
ვეძებდი ერთს ყვავილს... არ ვიცი, ახ, როგორს!!..

⁂

ძებნისგან მაშვრალი გზის პირად ვკვდებოდი...
კოცნითა, ტირილით შენ მეთხოვებოდი...
მაგრამ სულთმობრძავი მაინც არ ვცხრებოდი:
— სად არის? სად არის?—სულ გეკითხებოდი!..

⁂

მტირალმან გაიპე შენ მკერდი თეთრ-ბროლი...
წინ გადამიშალე გული მწირ-ობოლი...
იფეთქა კვნესამა სულისა ღრმა წყლულში:
თურმე ის ყვავილი ჰყვაოდა შენს გულში!..

კ. მაყაშვილი.

განვითარება და გაძლიერება. 3. ოსმალეთის ახალ წეს-წყობილების დაცვა, რადგან ამ წეს-წყობილებას საფუძვლად უდევს ოსმალეთის იმპერიის ერთა თანასწორობა. ეს პირობები ყველა სახელმწიფოს ვაცნობეთ. ავსტრია-უნგრეთის ამას წინად გარდაცვალებულმა მინისტრმა დელეგაციებს წარუდგინა. ნამდვილად ვიცით, ვენაშიაც აპირებენ ამ პირობათა განმტკიცებას. ეს გარემოება რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ურთიერთობას თან და თან გაუმჯობესდება.

ახლო აღმოსავლეთის საქმეები კარგად ვერ არის. ალბანიასა და კრიტეზე ძველებურად ისევ მოძრაობა და არეულობაა. შარშან გაზაფხულზე ალბანელნი აჯანყდნენ და ამ საქმეში წილი სდებია ჩერნოგორიასაც. თუმცა ოსმალეთი სცდილობს ალბანელთა ამბოხება-მოძრაობის მოსპობას, მაგრამ ვერაფერს გამხდარა და იგი კი მეზობელ ქვეყნების ინტერესებს ავნებს. მაკედონიაში ნამდვილი სარევოლუციო მოძრაობაა. კრიტეს საპოლიტიკო მოძრაობაც გაძლიერებულა ამ ბოლო დროს. ეს მოძრაობა საბერძნეთზედაც მოქმედებს. ყველა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს ოსმალეთ-იტალიის ომის გამო. მაგრამ ყველანი დარწმუნებულნი არიან, ბალკანეთში საერთოდ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. იტალიის ფლოტის მოქმედებამ გამოიწვია ოსმალეთის განკარგულება დარდანელის გზის შეკვრის თაობაზე. ამ გზის შეკვრა ძლიერ ზარალს აყენებს ნეიტრალ სახელმწიფოებსა, განსაკუთრებით რუსეთსა და ამის გამო სტამბოლში მყოფმა რუსეთის ელჩმა უკვე შესაფერი განცხადება წარუდგინა ოსმალეთს.

ამ ჟამად სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მალე გემების თავისუფალი მიმოსვლა შესაძლებელი გახდება. უკანასკნელ დროს ამბებმა ნათლად დაგვანახვა, რამდენად ადვილად შეუძლიან დააზარალოს იტალია—ოსმალეთის ომმა სრულიად ნეიტრალური სახელმწიფონი. ამას მშვენივრად ხედავდა რუსეთი, როდესაც მებრძოლ სახელმწიფოებს შერიგებას ურჩევდა. მაგრამ ოსმალეთისა და იტალიის პასუხები იმდენად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან, რომ შერიგება ვეღარ მოხერხოა მაგრამ ამ ცდამ ის ნაყოფი მაინც მოიტანა, რომ შუამავლობის შესაძლებლობა დაამტკიცა. ევროპის სახელმწიფონი უეჭველია შემთხვევით ისარგებლებენ და კვლავ შეეცდებიან მებრძოლ სახელმწიფოთა შერიგებას. ასეთია, ბატონები, საზოგადო მდგომარეობა მახლობელ აღმოსავლეთში. რაიცა შეეხება კრიტეს საკითხს, არ შემიძლიან მწუხარება არ გამოსთქვა, რომ კრიტელები მფარველ სახელმწიფოთა რჩევას გვერდს უხვევენ და რევოლიუციონურის საშუალებით ჰსურთ შეუერთდნენ საბერძნეთსა. მფარველ-სახელმწიფოებს გადაწყვეტილი აქვთ, არას გზით საკითხს ასეთი მიმართულება არ მისცეს. კუნძულის მახლობლად საკმაოდ სამხედრო გემები სდგნს, და ამან მაინც უნდა დაუმტკიცოს კრიტელებს, რამდენად სახიფათოა სარევოლუციო გზაზე დადგომა. ბულგარეთი და სერბია უეჭველია მოახერხებენ თავი შეიკავონ იმ შემთხვევაშიაც, თუ ბალკანეთზე მდგომარეობა გამწვავდა. ბრძნული პოლიტიკა მათი მეფეებისა, კეთილ-გონიერება მთავრობისა და პატრიოტიზმი მცხოვრებლებისა ამის საუკეთესო თავმდებია.

ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა სპარსეთთან გამოიხატება შემდეგში. საფუძვლად ამ ურთიერთობას უდევს 1907 წელს ინგლისთან დადებული შეთანხმებმა. ამის წყალობით სპარსეთის კრიზისი ჩვენთვის დიდს საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა ჩვენს ეკონომიურ ინტერესებს კი დიდს ზიანს აყენებს. სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქმე, დღევანდელ პირობებში, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის შური და უთანხმოება ყოფილიყო. 1905 წელს დაწყებული არეულობა, სამწუხაროდ, ჯერ გათავებული არ არის: მთელი სპარსეთი ჯერ ისევ დაუმშვიდებელია და მოუწყობელია. ახალი წეს-წყობილება ჯერ ვერ განმტკიცებულა. მეჯლისში უკიდურესი ელემენტი სჭარბობს; იგი ცხადად ადმინისტრატიულ ფუნქციებსაც ითვისებს, აფერხებს მთავრობის მოქმედებას. ამის შედეგია ხშირი სამინისტრო კრიზისები, საზოგადო სისუსტე და უძლურება ცენტრალურ მთავრობისა.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი დამოკიდებულება სპარსეთისადმი დამაკმაყოფილებელი არ იყო. ამის უმთავრესი მიზეზია მტრული განწყობილება ეგრედ წოდებულ „დემოკრატიულ", ანუ „ნაციონალისტურ" პარტიისა რუსეთისადმი. თუმცა მთავრობა სცდილობდა მეგობრული განწყობილება დაემკვიდრებინა რუსეთთან, მაგრამ მისი ცდა ყოველთვის მეჯლისის სიჯიუტეს ეხეთქებოდა ხოლმე. მეჯლისში გამეფებულ დემოკრატებს კი ზურგს უმაგრებდნენ სპარსეთისთვის სრულიად უცხო ელემენტები, კავკასიელები და სხვ. ყველა ამან ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, როგორც რუსეთის ინტერესები, ისე რუსის ქვეშევრდომნი. ჩვენსა და შაჰის მთავრობის შორის გამართული მოლაპარაკება ხშირად არა სრულდება. პროვინციაში ხომ უარესი მდგომარეობა იყო. დიდხანს ასე ვერ გაგრძელდებოდა, უსათუოდ რაიმე ზომები უნდა მიგვეღო. საბაბად გადიქცა მორგან-შუსტერი, რომელიც სპარსეთის მთავარ ხაზინადრად მიიწვიეს და რომელმაც თითქმის დიქტატორული უფლებები ჩაიგდო ხელში. მორგან-შუსტერის მოქმედებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ ჯერ ჩვენი მოთხოვნილებანი წარუდგინეთ სპარსეთს, მორგან-შუსტერის დათხოვნა მოვითხოვეთ და მერე თეირანისკენ ჯარიც გავგზანეთ. როგორც მოგეხსენებათ, ბატონებო, ძალის დაუტანებლად, სპარსეთის მთავრობამ დაგვაკმაყოფილა. ეს კეთილი დაბოლოვება კონფლიქტისა დაიჩრდილა სამწუხარო ამბებით. ფიდაები, რომელთა შორის ბევრი კავკასიელებიც იყვნენ, თავს დაესხნენ ჩვენს ჯარსა. ამან გვაიძულა გაგვეძლიერებინა რაზმი თავრიზში, ხელში ჩაგვეგდო სამართალი და ჩვენებურად გავსწორებოდით დამნაშავეებს. სპარსეთის მთავრობამ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნილებანი, ინგლისსა და რუსეთსა სთხოვა, დაეხმარებოდნენ სპარსეთის დამშვიდებასა და წესიერების დამყარებაში. ამასობაში მეჯლისს ვადა გაუვიდა, და სპარსეთის მთავრობამაც დაითხოვა იგი. ინგლისმა და რუსეთმა სპარსეთში წესიერების დასამყარებლად საჭიროდ დაინახეს ძლიერ ცენტრალურ მთავრობის შექმნა და ამიტომ დახმარების ხელი გაუწოდეს სპარსეთის მთავრობას. შევიმუშავეთ პირობები. შაჰის მთავრობას ამურიდან მეტი ყურადღება უნდა მიექცია რუსეთისა და ინგლისის ინტერესებისთვის. სამაგიეროდ ჩვენ უნდა ხელი შეგვეწყო ცენტრალურ მთავრობის გაძლიერებისთვის. ამისათვის კი უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო გათავება იმ ბრძოლისა, რომელიც შაჰად ნამყოფმა მაჰომედ-ალიმ აუტეხა სპარსეთის მთავრობას. აღსანიშნავია, რომ მაჰომედ-ალიმ ეს საქმე დაიწყო არამც თუ ჩვენდა მალულად, არამედ ჩვენი რჩევის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, მაჰომედ-ალიმ, რომელსაც არც ფული ჰქონდა არც იარაღი, მიზანს ვერ მიაღწია, მხოლოდ უფრო შეუწყო ხელი არეულობასა და უთანხმოებას. ამიტომ ინგლისმა და რუსეთმა ურჩიეს მაჰომედ-ალის, თავი დაენებებინა სპარსეთისთვის. სპარსეთის მთავრობამ უზრუნველჰყო მაჰომედ-ალის პენსია, და იმანაც მიატოვა სპარსეთი. ჩვენი დახმარება, სხვათა შორის, აწეწილ ფინანსების გამოსწორებაშიაც უნდა გამოხატულიყო, რეფორმების მოსახდენად საჭიროა ფული. ეს საკითხი ინგლისმა და რუსეთმა განიხილეს და მომავალ სესხის ანგარიშში ორივე სახელმწიფოთა ბანკებიდან ავანსად მიეცა ორასი ათასი გირვანქა სტერლინგი. თეირანის მთავრობა დღეს მეტს ენერგიას იჩენს, და იმედია, მეგობარ სახელმწიფოთა დახმარებით, მალე დაამყარებს წესიერებას, რომელიც ასე ძალიან საჭიროა სპარსეთისთვის.

წელან ჩვენი რაზმები მოვიხსენიე. მგონია მტკიცება არ უნდა იმას, რომ რუსეთს სპარსეთის დასაპყრობლად არ გაუგზავნია ჯარები. რუსეთისათვის ტერიტორიის გადიდება საჭირო არ არის. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ჩვენი ქვეშევრდომნი და სავაჭრო ინტერესები დავიცვათ. რა წამს წესიერება დამყარდება და სპარსეთის მთავრობა თავის ძალ-ღონით მოახერხებს ჩვენი ინტერესების დაცვას, მაშინვე ჯარს გამოვიყვანთ.

როდესაც სპარსეთის საქმეებზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ ის გარემოება, რომ ოსმალეთმა სპარსეთის საზღვარზე სპარსეთის ტერიტორიის ნაწილი დაიჭირა. ამას ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ოსმალეთის მიერ დაჭერილი ტერიტორია ჩვენს ამიერ კავკასიის საზღვართან ახლო მდებარეობს. ამ ჟამად ეს საკითხი შემდეგ მდგომარეობაშია. სტამბოლში შესდგა სპარსეთ-ოსმალეთის კომისია, რომელმაც სადავო საზღვრები უნდა გამოარკვიოს. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, საკითხი ჰააგის სასამართლოს გადაეცემა. ამ რიგად, ეს საკითხიც გარკვეულ მიმართულებას მიიღებს.

ცოტა რამ მაქვს კიდევ სათქმელი გერმანიასთან დადებულ შეთანხმების შესახებ. გერმანიამ ალიარა ჩვენი საგანგებო ინტერესები სპარსეთში და დასთანხმდა, რომ ჩვენს გავლენის ქვეშ მყოფ ადგილებში არ მოითხოვს ისეთს კონცესიებს, რომელთაც პოლიტიკური ხასიათი აქვთ. სამაგიეროდ ჩვენ კულავ დავადასტურეთ პრინციპი, რომლის ძალითაც სპარსეთში თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება. დავსთანხმდით, რომ გერმანიამ ბაღდადის რკინის გზა გაიყვანოს და შეუერთოს სხვა რკინის გზებს.

უკანასკნელ დროს რუსეთის საზოგადოებრივი აზრი დიდს ყურადღებას აქცევს ჩინეთის ამბებს. ჩინეთის მოძრაობამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ დედოფალმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ჩინეთში ახალი წეს-წყობილება დამყარდა. ახალი მთავრობა, რომლის სათავეშიაც იუანშიკაი სდგას, ჯერ არ შემდგარა. ამიტომ ჩვენ, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, მხოლოდ საქმიანი მიწერ-მოწერა გვაქვს მინისტრებთან და ვუცდით, რით გათავდება საქმე. არავითარი სურვილი არა გვაქვს ესა თუ ის წეს-წყობილება მოვახვიოთ კისერზე ჩინეთსა, ამიტომ თავიდანვე ნეიტრალური პოზიცია ავირჩიეთ. ამისთანა პოლიტიკამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვიტანა; თუმცა რუსეთის ქვეშევრდომნი ბრძოლის ცენტრში, ხანკოუში, იმყოფებოდნენ, მაგრამ მაინც არ დაზარალებულან.

ამის გამო, როდესაც შეერთებულ შტატების მთავრობამ გერმანიის მთავრობას აცნობა თავისი პასუხი, სადაც მოხსენებული იყო, რომ თუ უცხო სახელმწიფოთა ინტერესების დასაცავად აუცილებელი გახდა სახელმწიფოთა ჩარევა ჩინეთის საქმეებში, მაშინ თანხმობით უნდა იმოქმედონ,—რუსეთის მთავრობამ შეუთვალა: ჯერჯერობით საბაბს არ ვხედავთ, რომ ჩინეთში ჩვენ ნეიტრალიტეტი დავარღვიოთო, ხოლო თუ გარემოება შეიცვლება რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან თანხმობით იმოქმედებს ჩინეთის საერთო ინტერესთა დასაცავად. ჩინეთში არსებულმა ამბოხებამ მისი ფინანსების საქმე აწეწ-დაწეწა, გარეშე სესხის გასტუმრების საქმეც აირია. ჩინეთი იძულებული გახდა ყველგან ეძებნა სესხი, სადაც კი იშოვნიდა. რუსეთი ჩინეთის არეულობის დასაწყისშივე იმ აზრისა იყო, რომ ჩინეთს საჭირო სესხი დაინტერესებულ სახელმწიფოთა თანხმობით უნდა ეშოვნა. ეს საჭირო იყო, რომ ჩინეთის ფინანსიური მხარე არ არეულიყო და მას შესძლებოდა მოვალეების გასტუმრება, მათ შორის რუსეთისაც. ამ მოსაზრებით შევუერთდით ბანკირთა არსებულ კონსორციუმს, რომლის მოქმედებაც დაუქვემდებარეთ ექვს უდიდეს სახელმწიფოს: რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას, იაპონიასა და შეერთებულ შტატებს.

ამასთანავე ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ მეგობრულ სახელმწიფოებს ჩვენთვის საზარალო რამ არაფერი არ უნდა მოემოქმედნათ ჩინეთში. რაზედაც ისინიც დაგვეთანხმდნენ. ეს განსაკუთრებული ინტერესები რუსებსა აქვთ ჩინეთის კედელ შიგნით მდებარე მიდამოებში, მონგოლეთში და ჩრდილოეთ მანჯურიაში. ჩინეთის კედელ შიგნით მდებარე მიდამოებსა და მონგოლეთში ჩვენი ინტერესები, გეოგრაფიულ მდებარეობის გარდა, 1881 წელს პეტერბურგში დადებულ ხელშეკრულობაზე ემყარება. ამ ხელშეკრულობით რუსეთის ვაჭრობას და იქ მოსახლე რუსეთის ქვეშევრდომთ ისეთი უფლებანი ენიჭებათ, რომელნიც მთლად განსხვავდება უცხოელთა საერთო უფლებისაგან. ჩრდილო მანჯურიაში კი ჩვენი მდგომარეობა ნათელსაყოფია იმით, რომ იქ გაგვყავს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა. ჩრდილოეთ მანჯურიაში ჩვენი უფლებანი ემყარება რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულობაზე. ეს ხელშეკრულება მოვიპოვეთ ჩვენის თავგამოდებულის ბრძოლით, სისხლის დაღვრით და რუსეთის ფულით. ამისათვის ამ საქმეში რუსეთის ინტერესები სრულიადაც არ ეთანაბრება დანარჩენთა ინტერესებს. მათს განსახორციელებლად შესაფერი ზომები რუსეთმა მხოლოდ თითონ უნდა იკისროს. ჩინეთში მომხდარ არეულობას, სხვათა შორის მონგოლეთის ჩამოშორებაც მოჰყვა, უფრო კი მის ჩრდილო ნაწილისა, რომელსაც ეწოდება ხალხა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, მონგოლეთმა მოგვმართა ჩვენ (რუსეთს) დახმარების აღმოსაჩენად. ჩვენ მონგოლეთის გამო ან ჩინეთთან უნდა ავტეხოთ დავიდარაბა, ან გარეშე მაცქერალად დავრჩეთ. მონგოლეთი დიდი ქვეყანაა, მისი მოსახლეობა სხვა და სხვა თემიდან შესდგება, მისი გეოგრაფიული და ადმინისტრატიული მდგომარეობაც სხვა და სხვა გვარია: შუაგული მონგოლეთი ჩინეთის ძლიერ გავლენას განიცდის და უკვე ჩინეთის პროვინციას წარმოადგენს.

შუაგული მონგოლეთი უმთავრესად სამხრეთ მანჯურიის რკინის გზას ეკვრის და ამ ნაწილში იბადება იაპონიის ინტერესები..

გეოგრაფიულად და ადმინისტრატიულად შუაგრლი მონგოლეთი მანჯურიაზეა მიწერილი და, ცხადია, სახელმწიფონიც ისე უცქერიან მას, როგორც მანჯურიის ნაწილს. თუმცა შუაგულ და განაპირა მონგოლეთის საერთო პოლიტიკურ ცხოვრების კალაპოტში მოქცევა შეუძლებელია, რადგანაც დიდიხანია სულ განსხვავებულ გეოგრაფიულ და ადმინისტრატიულ პირობებში სცხოვრობენ. ჩრდილო მონგოლეთს კი ჩინეთიდან გოშის უდაბნო ჰყოფს, სულ სხვა, თავისებურ ცხოვრებას ატარებს, თავისი მმართველი მთავრები ჰყავს და მომთაბარენი არიან. იქ ჩინელი მეტად ცოტაა. ამისათვის ჩრდილო მონგოლეთი, ხალხა ჩამოჰშორდა ჩინეთს. მათ ჰმეთაურობს ურგის ხუტუხუტა, ხალხელთა სასულიერო მოძღვარი, რომელსაც დიდი ნდობა და პატივისცემა დაუმსახურებია მკვიდრთა შორის. მან შესძლო ხალხელნი გაერთიანებინა საერთო საქმისათვის. ურგასა და ულიასუტაში მართვა-გამგეობის ცვლილება უსისხლოდ მოხდა. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელთ ურჩიეს წასულიყვნენ და ისინიც ხმის ამოუღებლივ გაჰშორდნენ. ესეც საკმაოდ ადასტურებს იმას თუ ხალხელთა შორის რა სუსტი ყოფილა ჩინეთის მთავრობის ძალა-გავლენა. თუმცა თავის მხრივ არც ხალხას შესწევს ძალ-ღონე დამოუკიდებელ სახელმწიფო მართვა-გამგეობის მოსაწყობად. ამ მომთაბარე მოსახლეობას არ გააჩნია ჯარი, არც საფინანსო ორგანიზაცია, არც მოღვაწენი, ურომლისოდაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია. ვინც მათ ჩინეთს ჩამოაშორებს, მან მძიმე ტვირთი უნდა იკისროს და სახელმწიფო შეუქმნას; ამ საქმეს კი დიდძალი ფული და შრომა დასჭირდება. გარდა ამისა ხალხი მუდამ საფრთხეში იქნება, რომ ჩინეთმა კვლავ არ დაიპყრას იგი. ამისათვის ასეთი საკითხი წამოგვეჭიმებოდა: ან ხალხას ოკუპაცია გამოვაცხადოთ, ან სულ ხელი ავიღოთ. ასეთ მდგომარეობა მოვერიდეთ და შუამდგომლობა ვიკისრეთ ჩინეთის მთავრობასა და ხალხელთა შორის. რადგანაც ვიცოდით, რომ მონგოლები უნდობლად ეკიდებიან ჩინეთის დაპირებას და გარდა ამისა, ჩვენი სავაჭრო ინტერესები მოითხოვს, რომ ხალხეთში მშვიდობიანობა დამყარდეს, ჩვენ შევეცადეთ რჩევა მიგვეცა, რათა ამ ქვეყნის კეთილ-დღეობა უზრუნველ-ყოფილიყო. ხალხაც მაშინ უფრო დაალხეინებული იქნება, როდესაც დაინახავს რომ მისი უძლიერესი მეზობლები რუსეთი და ჩინეთი მის სვებედის შესახებ შეთანხმდნენ. ჩვენ მოვთხოვეთ ჩინეთს, რომ ხელშეუხებლად დარჩეს ჩვენი სამხედრო და საადმინისტრაციო სტატუსქვო მონგოლეთის მიდამოებში, რომელიც რუსეთის საზღვარს რამდენიმე ათას ვერსზე გვერდით აკრავს.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო, ბაკურციხის საკრედიტო ამხანაგობას დაერქვას შემდეგი სახელი: **„ბაკურციხის საკრედიტო ამხანაგობა დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის სახელობისა"**. განსვენებულმა ამხანაგობას ძირითად თანხის შესადგენად ასი თუმანი შესწირა და ამას გარდა ამხანაგობის შენობის ასაგები ხარჯი გაიღო.

✦ **ახალი გაზეთი.** გუბერნატორმა ე. ს. კერესელიძეს ნება დართო, გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი, სახელად „მანანა".

✦ **„თეთრის ყვავილის" დღესასწაულისთვის** ქალაქის საბჭოს დარბაზში უკვე შეუდგნენ მზადებას ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის ხელმძღვანელობით. დამზადებულია 103,000 ყვავილი და მრავალი წიგნაკი უფასოდ დასარიგებლად. დღესასწაულის დღეს ქალაქის სხვა და სხვა უბანში დადგმულ იქნება 15 სტოლი. მონაწილეობას მიიღებს 600 მანდილოსანი.

✦ **პურის გაძვირების გამო.** ერთმა დიდმა ფირმამ ქალაქის გამგეობას იჯარით სთხოვა ნახევარ დესეტინა მიწა უზარმაზარ ფურნის ასაშენებლად. ფირმა გამგეობას პირობას აძლევს, ნახევარ ქალაქი გამომცხვარ პურით უზრუნველჰყოს და ამასთანავე გირვანქა პური ნიხრზე ნახევარ კაპიკით იაფად გაჰყიდოს. ამ წინადადებას ქალაქის გამგეობა თანაგრძნობით მიეგება.

✦ **უფასო სასადილო.** „კაპეიკის კავშირის" საზოგადოებას განზრახვა აქვს, ამაღლების ქუჩის რაიონში ბავშვთათვის უფასო სასადილო გახსნას.

✦ **დამპალ ციებასთან** საბრძოლველად საგანგებო კომიტეტი არსდება. კომიტეტის დებულების შემუშავება მინდობილი აქვს სამკურნალო ნაწილის სამმართველოს.

✦ **სამკურნალო ნაწილის რეორგანიზაცია.** სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველო ამ ჟამად ადგენს როგორც ამ სამმართველოსი, ისე მის საგუბერნიო და საოლქო განყოფილებათა რეორგანიზაციის პროექტს. განზრახულია შტატებისა და მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდება.

✦ რედაქციამ მიიღო ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის 1911 წ. მოქმედების ანგარიში. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, ქუთ. სახალხო უნივერსიტეტს მოქმედება დაუწყვია 1910 წ. იანვრიდან. საანგარიშო წელს შემოსავალი ჰქონია საწევრო გარდასახადი 251 მ. ლექციების კითხვიდან—878 მ. საანგარიშო წელს სულ მოუწყვიათ 48 ლექცია. ამ ლექციებზე დასწრებია 9040 მსმენელი, საშუალოდ თითოზე—376.

სახალხო უნივერსიტეტის ფული ინახება ტფილისის საურთიერთო ნდობის ბანკში—1500 მ. 37 კ. (წიგნი № 272) და ქუთაისის ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობის კასაში—500 მ. (წიგნის № 125).

✦ კვირას 15 აპრილს, **საბავშვო კითხვები** შესდგება შემდეგ აუდიტორიებში:

1. ნათლულში, ქ-ნი ჟურული—„ბედნიერი პრინცი".
2. ავჭლის აუდიტორიაში, ქ-ნი „კევლიევი—„თავდადებულნი ქართველნი".
3. საექიმო დარბაზში, ქ-ნი ასათიანი—„ცხელ ქვეყნების მცენარეები".
4. ნაძალადევში, ქ-ნი ფაღავა—„სახრჩობელაზე".
5. ავლაბარში, ქ-ნი ავალიანი,—„პირუტყვთა ცხოვრება"-ზე.
6. ხარფუხში, ქ-ნი ნასიძე—„დაშლილი ბუდე".
7. ვერის აუდიტორიაში, ქ-ნი ტატიშვილი—„ჩაი"-ზე.

✦ გუშინ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა **ხუთს ყასაბს ოქმი** შეუდგინეს ხორცის ძვირად გაყიდვისათვის.

✦ **მიტოვებული ბავშვები.** 12 აპრილს ისაკ არტემის ძე შაქაროვმა პოლიციაში მიიყვანა ფოთის ქუჩაზე მცხოვრებ ეფიმე კოზლოვის ბავშვები ივანე (7 წლისა), ბორისი (4 წ.) და ზინა (3 წ.) და განაცხადა, ამ ბავშვების მშობლები სულ ლოთობენ, ბავშვებს ყურს არ უგდებენ და ახლაც ორი კვირაა რაც უპატრონოდ მიატოვეს და დღემდე მე ვინახავდიო. ბავშვები „კაპეიკის კავშირის" თავშესაფარში მოათავსეს.

✦ 13 აპრილს დილის 8 საათზე ტრამვაის ვაგონი № 94 დიდ-ვანქისა და ხაზინის ქუჩის კუთხეში ფურგუნს დაეჯახა, რომელზედაც იჯდა დავით ლოლაძე. ფურგუნის წინა თვალი დაიმტვრა, ხოლო ლოლაძე მსუბუქად დაშავდა.

✦ ცამეტ აპრილს ტფილისში ცხრამეტი უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ წყალობა ყაზაროვი და ბეტმაშ დედიაშვილი.

✦ ცამეტ აპრილს ოლგას ქუჩაზე ჩვრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს.** მორიგი კრება 16 აპრილს სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის გამგეობისა და სამეურნეო კომისიის მოხსენებებს ხარისხებად ხორცის დაყოფის შესახებ და ლოტკის გორის და ნაძალადეველ მოიჯარადრეთა რწმუნებულის ა. ს. ღულაძის განცხადებას მიწების გამოსყიდვის წესების შეცვლის შესახებ.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 15 აპრილს, საღამოს მოხდება ქალაქის საბჭოს დარბაზში განსახილველი საგნები: 1) საამშენებლო კომისიის ოთხის წევრის არჩევა 2) მოხსენება სამის ამბულატორიის გახსნის შესახებ, 3) მოხსენება საზაფხულო ახალშენებზე და 4) მოხსენება „თეთრის ყვავილის" დღესასწაულის შესახებ.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს ჭლექიანთათვის მზრუნველ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც არის ნამესტნიკის თანაშემწის მეუღლე მ. პ. ვატაცისა, კვლავ განაგრძოს თავისი მოქმედება და განზრახულ ამბულატორიების, თვალყურის დაჭერაც იკისროს.

✦ **„ნაძალადევის" სცენის მოყვარეთა წრის** საერთო კრება 29 აპრილს მოხდება. განხილულ იქნება საზოგადოების მოქმედების ანგარიში და არჩეულ იქმნებიან გამგეობის წევრნი.

სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად თელავს გაემგზავრა, სადაც 20 აპრილამდე დაჰყოფს.

სასწავლებლებში.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** ეგზამენები პირველ მაისს დაიწყება. ლექციების კითხვა 20 აპრილს დასრულდება.

რკინის გზებზე.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზას** 1911 წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია—30.890,360 მან., ხარჯი—20,932,445 მან. წმინდა მოგება დარჩენია—9.758,370 მან.

ქუთაისი

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ზესტაფონის

განყოფილებამ ქუთაისის გუბერნატორს თხოვნით მიმართა, ნება დართოს, 1912 წლის განმავლობაში შეწირულებანი შეაგროვოს **ზესტაფონის თეატრის** განსაახლებლად.

ბორი

◆ **მოკლული ქალი.** სოფ. ზემოხვედურეთის მახლობლად ყელ-გამოჭრილ ქალის მაიკო ხორბალაძის გვამი იპოვეს. ეჭვი მიიტანეს მოკლულის ქმარ ალექსი ხორბალაძეზე.

თელავი

◆ მოკლე ხანში სადგილ-მამულო კომისიის ინსტრუქტორის ალ. ციციშვილისა და ვასილ როინაშვილის თაოსნობით ხელოსანთა **შემნახველ-გამსესხებელი ბანკი** დაარსდება.

მანგლისი.

◆ **თოვლი.** როგორც მანგლისიდან გვატყობინებენ, აქ სამშაბათს აქეთ თოვლი მოდის, რასაც ხეხილი სულ გაუფუჭებია, საქონელი ისევ ბოსლებში დაუბამთ, საჭმელი კი თურმე არა აქვთ. თოვლია კოჯორ-ტაბახმელაშიაც.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

შემოსავალ-გასავალი 1911 წ.

(ფრჩხილებში ნაჩვენებია შესადარებლად 1910 წლის ციფრები).

1) **სატვირთო და კომერციული მოძრაობა**: გაიგზავნა მატარებელი 170 127 (168,444); ამიერ-კავკასიის რკინის გზამ მეზობელ რკინის გზებიდან მიიღო დატვირთული ვაგონი —45,975 (39,327), ამიერ-კავკასიის რკინის გზამ ჩააბარა მეზობელ რკინის გზებს დატვირთული ვაგონი—25,192 (23,203); ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე დაიტვირთა 419,109 (393,950) ვაგონი. წლის განმავლობაში გაუვლია 9,180,575 მგზავრსა; სწრაფის მიმოსვლით რკინის გზაზე გაუვლია 4,048,235 ფუთ სასაქონელს (3,827,722); ნელი მიმოსვლით — 213,318,094 ფუთსა (189,589,000).

ამიერ-კავკასიის რკინის გზის შემოსავალ-გასავალი. 1911 წლის განმავლობაში შემოსულა: მგზავრთა და სწრაფი მიმოსვლით გაგზავნილ საქონლისაგან 5,807,600 მ. (5,657,300), ნელი მიმოსვლით გაგზავნილ საქონლისაგან 21,024,360 მ. (19,197,500 მან.), სხვა შემოსავალი, რომელიც მატარებელთა მიმოსვლასთანაა დაკავშირებული, — 1,903,300 მანეთი (1,775,000 მ.), სხვა და სხვა შემოსავალი 650,600 მ. (648,000 მ.) სულ შემოსულა **30,690,800 მ.** (28,556,000 მან.); 1911 წლის განმავლობაში დახარჯულა **20,932,445 მ.** (20,903,900 მან.); გადადებული ყოფილა ხარჯად 21,031,680 მან., დახარჯულა—20.932,445 მ.

რკინის გზას წმინდა მოგება დარჩენია 1911 წელს **9,758,370 მ.**, წინანდელ წელთან შედარებით 2,107,130 მანეთით მეტი.

ქართული თეატრის მომავალი.

(„შვიდი ძიძა“)

(დასასრული *)

ხშირად მომხდარა ხოლმე, გამგეობის ერთი რომელიმე წევრის წინადადებით პიესა რეპერტუარიდან მოუხსნიათ. შემუშავებულ რეპერტუარს, განაწილებულ დღეებს რომ ერთი პიესა გამოაკლდება, მაშინ ირღვევა მთელი თვის მუშაობის სისტემა, იშლება ჩარხი... იცვლება პიესები, იცვლება წარმოდგენის დღეებიც, ირევა რეპეტიციები... მომზადებაზე დახარჯული დრო მსახიობთა ენერგია იკარგება და იწყობა „ახალი“ პიესის მზადება. ახალი პიესაც „ჩვენებურად“ მომზადებული იდგმება და განაწამები საზოგადოება თეატრიდან გარბის. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთ ბავშვს უვლის „შვიდი ძიძა“.

შვიდი სხვა და სხვა აზრი, სხვა და სხვა გემოვნება ამ საქმეში ვერაფერ კარგს ვერ დაჰბადავს. პირიქით, ეს აფერხებს საქმეს და მის წინ სვლას ხელს უშლის. სასცენო ხელოვნება იგივე მთლიანი სურათია. მას უნდა ჰყავდეს ერთი მხატვარი. ამ მხატვარს აქვს შემუშავებული საკუთარი კოლორიტი, ფორმა, შესაფერი ფერადები და თითონვე უნდა ხატავდეს კიდეც, სრულიად დამოუკიდებლად თავისუფლად. ამ შემოქმედებაში მას ხელს არავინ არ უნდა უშლიდეს. არავინ არ უნდა შეიჭრას მის სულში. დამეთანხმეთ, თუ სურათის შექმნის დროს გამგეობის თვითეულმა წევრმა თავისი გემოვნების საღებავი წასცხო ტილოს.—მთლიან სურათის ნაცვლად ერთმანეთში შეზელილი საღებავები გამოვა და, გამოდის კიდეც.

გამგეობა, როგორც ანტრეპრენიორი კიდევ იმით ავნებს საქმეს, რომ იგი ყოველგვარ საკითხს ხმის უმეტესობით სწყვეტს. წვრილმან საქმეებშიაც კი კოლექტიურად მსჯელობს. მას არა ჰყავს და არც შეუძლიან იყოლიოს ერთი, სრულ უფლებით აღჭურვილი პირი, რომელსაც შეეძლოს მოულოდნელ შემთხვევაში ესა თუ ის საკითხი დამოუკიდებლად, კოლეგიის დაუკითხავად გადასწყვიტოს და საქმე არ შეაჩეროს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გამგეობის კრება, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო ვერ შესდგება და საჩქაროდ გადასაწყვეტი საკითხი ელოდება იმ ბედნიერ დღეს, როდის მოიყრიან თავს წევრნი და იქონიებენ მსჯელობას. სრულ რიცხოვანი კრება კი დამოკიდებულია წევრთა თავისუფალ დროზე, — რადგან, როგორც ზევით ვსთქვი, ამ ცოცხალ საქმეს ისინი ზედმეტ დროსა სწირავენ, ქველმოქმედებენ.

თეატრი; სცენა-კი წუთებითა სცოცხლობს. იგი ხან უსწრებს ცხოვრებას, ხან ფეხდაფეხ მისდევს მას. მისი სახე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოველ წუთს იცვლება... და მისი ხელმძღვანელი მოვალეა მისდიოს ამ ცვალებადობას, სისწრაფე შეუფარდოს საერთო დროის სისწრაფეს. თეატრის საქმეში საკმარისია ერთი წაფერხება და ხელოვნების წინსვლა 5—6 წლით უკან ჩამორჩება. აქედან ცხადია, ამ დარგში „ქველმოქმედება“, სხვათა შორის მუშაობა ყოვლად მიუტოვებელი და მომაკვდინებელი ცოდოა.

ქველმოქმედება სასცენო ხელოვნებაში შეიძლება მხოლოდ ფულით და არა საქმის წარმოებით. ქველმოქმედმა ფული გაიღოს და საქმეს-კი მცოდნე და გულშემატკივარი აწარმოებს.

საზოგადოება ამბობს: „ქართულ თეატრს რაღაც ჯადოსნური წრე აკრავსო“.

სწორედ ეს „წრე“ დრ. საზ. გამგეობაა. იგი რკალივით შემოჰხლამია საქმეს, არც უშვება და ვერც მიჰყავს რიგიანად. ყოველ მესამე წელიწადს მოდის ახალი, გამოუცდელი, ქართულ თეატრს მოწყვეტილი გამგეობა, თევზივით ქვიშაზე ფართხალებს, ვერ ასწრობს საქმეს ალღო აუღოს, უთავდება ყავლი, მიდის და კვალსაც კი არ სტოვებს.

გამგეობას რომ იმ თავითვე ანტრეპრენიორობა არ დაეწყო, გამოჩნდებოდა ვინმე კერძო პირი და გაუძღვებოდა ამ საქმეს; ან მსახიობნი, რაკი დაინახავდნენ, რომ „მზრუნველნი“ და „ძიძები“ ჰყავთ, თითონ იფიქრებდნენ თავიანთ თავზე. ეხლა-კი, გამგეობის რკალმა, მისმა მფარველობამ და უმოქმედობამ მსახიობთაც ენერგია მოუდუნა, ჩაჰკლა მათში თვითმოქმედების უნარი.

სეზონის პირველ დასაწყისში ორთავ „ბანაკში“, გამგეობაში და მსახიობთა შორის ვითომ დიდი მზადებაა, იმედები, მუშაობის სურვილი.. გაჩაღდება თუ არა მუშაობა,—წინ გელობება გამგეობის პირველი შეცდომა, პირველს მოჰყვება მეორე, მეორეს—მესამე და ბოლოს იქცევა ჩვეულებად მსახიობიც ხელს ჩაიქნევს და მწარედ ამოიგვნესებს: „ასე იყო და იქნება კვლავაც“. იგი სრულიად მოდუნდება, მოეშვება, მუშაობა ეზიზღება, აღარაფერი ახალისებს და თეატრში შესვლაც-კი ეჯავრება, მაგრამ რა ჰქნას? არსებითი პურის შოვნის აუცილებლობა აიძულებს უარყოს რწმენა, ზურგი შეაქციოს პრინციპებს და თავისი „მოვალეობა პირნათლად შეასრულოს“... (როგორც ისინი ამბობენ ხოლმე) ამგვარად იგი ხდება ნამდვილი მოხელე, „ჩინოვნიკი“. მოვა რეპეტიციაზე, დაჰყოფს განსაზღვრულ დრომდე და ბრუნდება სახლში. იგი აღარ არის საქმის მოყვარული, საქმით გატაცებული არტისტი... მას საქმე უყვარს, მაგრამ მუშაობა კი ეზიზღება და ისიც ჰყიდის თავის ენერგიას და სამაგიეროთ იღებს საზრდოს დამეთანხმეთ, სადაც ხელოვნებაზე მზგავსი შეხედულება არსებობს ხელოვნება... იქ არის ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და ხელოსნობა.

იმის დასამტკიცებლად, რომ კოლეგიურ წარმოებას სათეატრო საქმეში დიდი ზიანი მოაქვს, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს რუსეთის გამოჩენილ თეატრებისას.

მოსკოვის საიმპერატორო თეატრში, 1910 წ. როდესაც ა. სუმბათაშვილი დამოუკიდებლად განაგებდა საქმეს, თეატრს მოგება დარჩა 53000 მან. ხოლო როდესაც ტელაკოვსკიმ ამ საქმეში ჩასჩხირა კოლეგია, რომლის თავმჯდომარეც თითონ არის, საქმე აირია და წელს თეატრმა 23000 მან. იზარალა.

აიღეთ მოსკოვის სამხატვრო თეატრი, მთელს მსოფლიოში განთქმული ყოველის მხრით. იქაც კოლეგია არსებობდა; მაგრამ კოლეგია არა საიმპერატორო თეატრისებური, რომელიც შესდგება ღენერლებისა და სხვა და სხვა წარჩინებულ პირთაგან... კოლეგია არა ჩვენებური... ეს კოლეგია შესდგებოდა თვით საქმის მეპატრონეთაგან, —არტისტებისა და რეჟისორებისაგან, სპეციალისტებისაგან და 12 წლის განმავლობაში ეს კოლეგია კიდეც აწარმოებდა საქმეს. ეს კოლეგია წარმოადგენდა ერთ სულს და ერთ ხორცს, საქმისათვის თავგანწირულს, თითეული მათგანი თანასწორ საქმის მოყვარული და მცოდნე, მაგრამ იქაც კი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ ცოცხალ საქმეში კოლეგია უძლურია, იგი აფერხებს და თუ მის წინსვლას გზაზე სავსებით არ ელობება, — შესამჩნევად მაინც აჩერებს. ეს კოლეგია, ეს გამგეობა დაიშალა, ჩამოშორდა და საქმის წარმოება გადასცა ორ პირს.

აიღეთ მოსკოვის ანტრეპრენიორი ნეზლობინი. მართალია 1910 წ. იზარალა, რადგან საქმე ახალი იყო. სამაგიეროდ 1911—12 წელს იმდენად გააფართოვა საქმე,—პეტერბურგშიაც კი გადაიტანა განყოფილება; სეზონის დამლევს წარსული წლის ზარალი აღადგინა და 120,000 მან. მოგებაც დარჩა. ეს იმიტომ მოხდა, რომ საქმეს აწარმოებს ერთი მცოდნე თავი და არა „შვიდი ძიძა“.

გაიხსენეთ კორში, ბაგროვი და სხვა გამოჩენილნი, თუნდა უჩინარნი ანტრეპრენიორები. თუ მთლად უბადრუკნი და უვიცნი არ არიან, სეზონს ყველა მოგებითა და საზოგადოების მხრივ დიდის მადლობით ათავებენ.

შეიძლება სთქვან: „სადა გვყანან ჩვენ ასეთი გამოჩენილნი, საქმის მცოდნე „დიდი კაცებიო“.

ეს შემცდარი აზრი იქნება. ჩვენ პატარა ხალხი ვართ, პატარა საქმეც გვაქვს, შედარებით, რასაკვირველია, და ამ პატარა საქმის პატარა გამძღოლიც გამოჩნდება. ხოლო როცა იგი გაიზრდება,—დიდი კაციც დაიბადება.

ათი წელია საქმეს ვაკვირდები, ვითვალისწინებ ყველა გამგეობათა მოღვაწეობას, ვადარებ ერთი-მეორეს, მაგრამ სანუგეშოს ვერას ვხედავ. გადაიკითხეთ თეატრის ისტორია—ასეთსავე უნუგეშო მდგომარეობას დაინახავთ აქაც. ჰკითხეთ ძველ არტისტებს,—მათ ლაპარაკშიაც სასოწარკვეთილება გაისმის: „ასე იყო და იქნება კვლავაცაო“, გაიძახიან ისინი.

ყველა ამან იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ გამგეობა, როგორც ანტრეპრენიორი სცენას უნდა ჩამოშორდეს და საქმის წარმოება, იმ სუბსიდიით, რომელსაც თავად-აზნაურობა გამგეობას აძლევს,—გადაეცეს ერთ მცოდნე და გამოცდილს პირს, რომელსაც გამგეობა თავად-აზნაურობასთან ერთად აირჩევს და სრულს ნდობას განუცხადებს.

გამგეობა?

რაკი ანტრეპრენიორობას თავს დანებებს, თავის ნამდვილ დანიშნულებას შეასრულებს.

საქმე ბევრია... მაგალითად:

1) უპირველეს ყოვლისა უნდა შექმნას თანხა უძლურისა და დაავადებულ სცენის მუშაკთა უზრუნველსაყოფად.

2) გახსნას **ქართული** *) დრამატიული სკოლა შემდეგის პროგრამით: ქართული დიქცია, ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, სიმღერა, ქართული და უცხო ლიტერატურა და სხვა.

3) გამართოს ხოლმე არტისტებისათვის და მოწაფეთათვის ლიტერატურული საღამოები, რეფერატები. ლექციები და სხ.

4) გამოსცეს პერიოდული სათეატრო ჟურნალი.

5) გამოსცეს საუკეთესო ორიგინალური პიესები იაფ-ფასში, რომ პროვინციელ სცენის მოყვართათვისაც ხელ-მისაწდომი იყოს, როგორც ფასით, ისე ტეხნიკითაც, ამრიგად ხალხში გაავრცელოს ეროვნული დრამატიული ლიტერატურა.

6) ნიჭიერი მსახიობნი, თუ მოწაფენი გაგზავნოს სატახტო ქალაქებში თეატრებისა და არტისტების სანახავად და სხვ.

პირველ დასაწყისში საჭიროა მოეწყოს აგენტურა, რომელსაც დაევალოს: კავკასიაში ქართულ ენაზე გამართულ ყველა წარმოდგენების შემოსავლიდან გადაიღოს განსაზღვრული პროცენტი, ეგრედ წოდებულ „დრამატიულ თანხისათვის“, ამავე მიზნისათვის გამართონ საღამოები, ლატარეა-ალეგრები, წარმოდგენები, მიიღონ ზომები წევრებმა გადაიხადონ საწევრო ფული და თანხაც გაჩნდება.

ამისათვის საჭიროა საქართველოს ყველა კუთხის დრამატიული საზოგადოებების გამგეობათა და სცენის მოღვაწეთა საერთო კრება: ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, სოხუმის, ბაქოს, ჭიათურის, ხონის, სამტრედიისა და სხვა დაბა-სოფლებისა.

ეს კრება, როგორც ცენტრმა, უნდა მოიწვიოს ტფილისის გამგეობამ, შეიმუშაონ გეგმა და შეუდგნენ ამ სასარგებლო საქმეს.

ამრიგად დრ. საზ. გამგეობას ექნება ერთი გარკვეული სახე და ღობეყორეს აღარ მოედება. ამით იგი შეასრულებს თავის დანიშნულებას და სასცენო ხელოვნებას მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ეხლა მოაქვს. თუ ასე იმუშავებს, 10 წლის შემდეგ ჩვენს სცენას ეყოლება ნამდვილი მომზადებული, გაწვრთვნილი, გონება განვითარებული არტისტი... მაშინ საზოგადოებაც სიამოვნებით დაესწრება წარმოდგენებს, სასცენო ხელოვნება აყვავდება და შესაძლებელია სუბსიდიაც აღარ დაგვჭირდეს.

ვალ. შალიკაშვილი.

---

*) იხ. ,,სახალხო გაზეთი'' № 573.

*) ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ რუსული დრამატიული სკოლები ჩვენს სცენას ვერაფერს მისცემენ; იქ წასვლა ტყვილად ფულისა და დროის დაკარგვაა და ზედ-მეტი—ენის დამახინჯება.

საგულისხმო განცხადება.

ქართულ სამეურნეო ჟურნალ „**მოსავალში**“ ფრიად საგულისხმო განცხადებაა დაბეჭდილი. მოგვყავს უცვლელად:

„**მოსავალი**“-ს რედაქციას საზღვარ-გარეთის და შიდა რუსეთის უდიდეს ფირმებიდან, რომლებთანაც რედაქცია შეკავშირებულია უკვე, მოსდის ხოლმე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო ნაწარმოებთა დაკვეთა.

მატყლი, თამბაქო, ჯაგარი, თხილი, თაფლი, ღვინო, ხილი ყველანაირი ნედლი და დაჩირული, ხეტყე (მეტადრე მუხისა და კაკლის ფიცრები და ნუჟრი), თესლი ზეუჭვრიტისა, კურკა ბამბისა, ალუჩისა, ერთი სიტყვით რა გინდა რომ არ თხოულობდნენ და ყოველგვარ ნაწარმოებში კარგ ფასებს გვპირდებიან, ოღონდ ყველა ამ საქონლის მოწოდება მოაწესრიგეთ და შესძლით როცა კი დავიბარებთო.

ამგვარად თითქმის ყოველგვარ ნაწარმოებისათვის ბაზარი უზრუნველ ყოფილია.

რომ სარგებლობა შეიძლებოდეს ამ გარემოებით, საჭიროა: რაიონებში, სადაც კი რა ნაწარმოებიცაა ბაზარში გასატანად ამ ნაწარმოებთა შემგროვებელი და მომწვდელი ამხანაგობანი დაარსდნენ ან სადაც ამხანაგობა არ მოხერხდება, კერძო პირებმა ითაონ ეს საქმე, რომ როცა ამა თუ იმ საქონლის დაკვეთა მოგვივა ხელმისაცემ ფასად, რედაქციას შეეძლოს გარდასცეს ამ პირთ დაკვეთილი საქონლის გაგზავნა და ღირებული ფასის მიღება.

იგივე ზემოხსენებული ფირმები გვპირდებიან საუკეთესო ღირსების და მასთან პირიან ფასებში იმ საქონლის მოწოდებასაც, რასაც აქ ექნება გასავალი.

რედაქციას უკვე ჰქონდა ესეთ შუამავლობის განხორციელების მაგალითები:

მაგალითად აქაური ჯაგარი, რომელიც აქ სამ-ოთხ აბაზზე ზევით არ იყიდება გადურჩეველი, გადაარჩევინა რედაქციამ და ცხრა თუმნად გაყიდა ფუთი ლონდონელ ფირმაზე ფულის აქ ჩაბარებით, სანამ საქონელი გაიგზავნებოდა აქედან იქ. რედაქციას საშუამავლო გროშიც არ აუღია, მთელი ფასი უკლებლივ მიეცა საქონლის პატრონს.

მეორე მაგალითი: ცხვრის საპარსი მანქანა, რომელსაც აქაური მოვაჭრეები შვიდ თუმან ნახევრად ჰყიდიან, ლონდონიდან გამოწერით ტფილისში ჯდება ოთხი თუმანი და რვა მანეთი, ისე რომ მსურველს 27 მანეთით ნაკლები დაუჯდება იქიდან გამოწერილი, ვიდრე აქ რომ იყიდოს.

ეს ახალი საქმე რომ კარგად მოეწყოს, ასეთ მაგალითებს სათვალავი არ ექნება“.

ქუთ. გუბ. მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა

ეს ამხანაგობა დაარსდა 1894 წელს. მისი დამაარსებელი და ერთგული ხელმძღვანელი სიკვდილის დღემდე იყო განსვენებული ნესტორ წერეთელი. 1902 წლამდე ამხანაგობა მოქმედებდა ნოტარიულ ხელშეკრულობით, იგი ამ დრომდე იყო ნდობაზე დამყარებული ამხანაგობა და მის საქმეებს განაგებდა მხოლოდ ერთი კაცი.

1902 წლიდან კი ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებით, იგი ამ დროიდან უკვე კოლეგიალურ დაწესებულებად გადიქცა. ამხანაგობის მიზანი და დანიშნულება, როგორც წინანდელ ხელშეკრულობით, ისე ახალ წესდებითაც, იყო მოპოვება მეაბრეშუმეთათვის საღი აბრეშუმის ჭიის თესლისა და გასაღება ნაწარმოებისა კარგ ფასებში.

1902 წლის 1 იანვრისათვის ამხანაგობა შესდგებოდა 2000 წევრისაგან, 25,000 მანეთის საწევრო ფულით. წევრთა რიცხვის უმრავლესობას შეადგენდა ახლო-მახლო სოფლის გლეხობა, ანუ თვით მწარმოებელნი. ამხანაგობა, სანამ მის საქმეებს განსვენებული ნ. წერეთელი განაგებდა, თავის მიზანს და დანიშნულებას ერთგულად ემსახურებოდა და მიუხედავად მრავალ დაბრკოლებათა დიდი და აუარებელი სარგებლობა მისცა ახლო-მახლო მყოფ მეაბრეშუმეთ, როგორც წევრთ ისე არა წევრთაც. საღი აბრეშუმის ჭიის თესლის მოპოვებაში ამხანაგობამ შესამჩნევი სახელი დაიმსახურა. ამხანაგობის მიერ მოტანილი აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა თითეულ მეაბრეშუმეთათვის სანატრელ საგნად იყო გადაქცეული; ვინ იყო მეაბრეშუმე, რომ „წერეთლის“ თესლს არ ეძებდა სასყიდლად, ამიტომ იყო რომ ამხანაგობა წელიწადში 15 ათას კოლოფამდე თესლს ჰყიდდა. ამხანაგობის დაარსებამდე ერთი ფუთი ნედლი პარკის ფასი 8 მანეთს არ ცილდებოდა, ამხანაგობის დაარსების შემდეგ კი ერთი ფუთი ნედლი პარკის ფასი ხანდისხან 22 მანეთამდეც ადიოდა. ამხანაგობა პარკს გადაჭრილ ფასადაც ყიდულობდა და გასასყიდათაც საკომისიოდ ღებულობდა. ვისაც ამხანაგობაში ექნებოდა პარკი მოტანილი, თუნდაც გადაჭრილ ფასადაც, იგი საქონლის გაყიდვის შემდეგ მოგებას ღებულობდა, თანაბრად მოტანილ საქონლის რაოდენობისა.

ამხანაგობა, გარდა ამ საქმეებისა აწარმოებდა აგრედვე ძაფის ამოხვევისა და ქსოვის საქმესაც. ამხანაგობის ქსოვილები პარიზის გამოფენაზედაც იყო, სადაც კარგი ღირსებისათვის ოქროს პატარა მედლით იქნა დაჯილდოვებული. ამხანაგობაში აღზრდილი 30-ზე ქალი დღესაც განაგრძობს ქსოვის საქმეს თავიანთ სახლებში. ზოგი მათგანი ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას შესაფერის ჯამაგირებით განწესებული ჰყავს სოფლის სკოლებში მოწაფეთათვის ქსოვის შესასწავლებლად.

ამ ექვსი წლის წინად ამხანაგობის დამაარსებელი და მისი საქმეების მართველი ნ. წერეთელი უდროვოდ გადაიცვალა მძიმე ავადმყოფობისაგან. ამ დროიდან ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობა ისეთ პირთა ხელში გადავიდა, რომლებმაც ამხანაგობის მიზანს და დანიშნულებას გვერდი აუქციეს. **განი.**

(დასასრული იქნება)

წერილი ქუთაისიდან

აღდგომის დღესასწაულებმა, ცუდი ამინდების გამო, მოწყენილად ჩაიარა: წითელ პარასკევის საღამოდან დაწყებული სამი დღე. იწვიმა და ისე აცივდა, რომ ბუხრებისა და ღუმელების ანთება დაგვჭირდა. სანოვაგე ძვირობდა: სამ აბაზიანი გოჭი—შვიდ აბაზად იყიდებოდა, კვერცხი 10—ერთ აბაზად, ქათამი და ინდოური ერთი-ორად დაძვირდა, ყასბებმა ხორც 15 კაპ. გახადეს გირვანქა და ისიც არ ვარგოდა; უარესი სიძვირეა ეხლაც ნაადდგომევს განსაკუთრებით ხორცეულობისა და მწვანილისა. თუ ასე გასტანა დიდხანს, მეტად გაუჭირდება ცხოვრება ღარიბ ხალხს.

წელს, რადგანაც აღდგომა თითქმის ზამთარში გათენდა, ვაჭრები არ არიან კმაყოფილნი ვაჭრობისა; „ქესატობას“ ჩივიან. ყველგან გაკრულია განცხადებები იაფი ვაჭრობისა და გამოფენილია საქონელი, მაგრამ დღესასწაულების ხარჯებისა გამო მუშტარი ჯერ კიდევ ჯიბის სიმჩატესა გრძნობს.

დახურული გაზეთების მაგიერ ჯერ არაფერი არ გამოდის, რის გამო შეჩვეული ხალხი უგაზეთობით მოწყენილია; რედაქტორობას ვეღარავინ კისრულობს, რადგანაც ციხისა ეშინიანთ.

პირველ სამოქალაქო სასწავლებლისათვის ადგილის შემძენმა კომისიამ უკვე დაუმტკიცა სასწავლებლის სამოსწავლო მთავრობას საჭირო ადგილი და ამ დღეებში მთავრობა კანონიერად ჩიბარებს ადგილს, შემდეგ [illegible] ქალაქის მზრუნველს. ორი-სამი თვის განმავლობაში კომისიამ, რომელიც შესდგება 15 კაცისაგან, შეაგროვა 1500 მანეთი და გადასცა ადგილის გამომყიდველებს, დანარჩენი თანხა უნდა შეაგროვონ ამა წლის გასულამდე და გაისტუმრონ ისინი, რომელთაც მიცემული აქვთ კომისიის წევრებისაგან ვექსილები. სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ მცხოვრებლები თანაუგრძნობენ საქმეს და შეძლებისა დაგვარად კომისიის წინადადებით იხდიან ნაწილ-ნაწილად—შეწერილ ფულებს. ამ დღეებში კომისია მიმართავს თხოვნით ქალაქის გამგეობასაც შემწეობისათვის; იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ქალაქის მამები თანაგრძნობით მოეკიდებიან ღარიბ მცხოვრებლებთა საჭირო საქმეს.

თითქმის ერთი კვირაა, რაც ნისლიანი დღეებია, ხშირად წვიმს და საგრძნობლად აცივდა; დილა საღამოს ჯერ ჯერობით კიდევ ცეცხლია საჭირო. შეშა გაძვირდა, რადგანაც სოფლის ხალხი ხვნა-თესვას შეუდგა და შეშას აღარ ეზიდებიან ქუთაისში.

ლადო ბზვანელი.

„ქრისტინეს“ გასამართლება.

(ლანჩხუთსა და ოზურგეთში).

გურულ ინტელიგენციას წრეშიაც აღიძრა სურვილი თავის თანამემამულე ნიჭიერ ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის თხზულებათა ხალხისთვის გაცნობისა. საუკეთესო საშუალება ამ მიზნის მისაღწევად არის სალიტერატურო გასამართლება. ნაწარმოების გმირის დაფასება, მისი გამტყუნება ან გამართლება ამავე დროს არის უტყუარი თავდები მწერლის ნიჭის დაფასებისა. თვით გამტყუნება-გამართლება იმდენად არაფერს შეიცავს, რამდენად შეგნება და გათვალისწინება იმ სულიერ მდგომარეობის და იმ სოციალურ-ეკონომიურ პირობებისა, რომლებშიაც აღიზარდნენ, მოქმედებდნენ და ცხოვრობდნენ ნაწარმოების ტიპიური პირები. განსაკუთრებით ითქმის ეს ნინოშვილის უკვდავ ნაწარმოებებზე. ის რეალისტურ მიმართულების მწერალია, სულით და გულით ხორც-შესხმული რეალისტია და ამ გარემოებას მაგრად სჭიდებენ ხელს „ქრისტინეს“ დამცველები. აქ გამართლება-გამტყუნების კითხვა თითქო წინდაწინ გადაწყვეტილია და ბრალმდებელი მხოლოდ ფორმალურის მოსაზრებით თუ გამოდის ბრალმდებლად, თორემ ისე იმედი კი არა აქვს თავის ბრალდების გაყვანისა. მეორეს მხრივ, არც ბრალმდებელი შესცქერის პირღია დამცველების გალაღებულ მდგომარეობას, ისინიც ცდილობენ, იმედს არ ჰკარგავენ „ქრისტინეს“ გამტყუნებისას. ამ ორ გარემოებას ნიშნობლივი ხაზი გაესვა ლანჩხუთსა და ოზურგეთში „ქრისტინეს“ გასამართლების დროს. პირველი იყო ტრიუმფი დამცველებისა, მეორე კი მხოლოდ ბრალმდებლის, თუმცა ორთავე შემთხვევაში „ქრისტინე“ კი გაამართლეს.

საზარელი ქარი ჰქრის, ერთობ ცივა, მაგრამ სადგურის გასწვრივ, ერთ ობოლ შენობაში, რომელიც თითქო განგებ ამოერჩიათ ნინოშვილის „უმწეო“ „ქრისტინეს“ გასამართლებლად, ზღვა ხალხს მოუყრია თავი. აქ არის ქუთაისიდან ჩამოსული ბ-ნი ს. ქვარიანიც, რომლის ავტორიტეტი ხალხს უფრო იზიდავს. უადგილობის გამო ბევრი ნაწყენი წავიდა სახლში. ვინც დარჩა იმათგან ბევრს ოთხი საათის განმავლობაში დაჯდომა არ ღირსებია. მოუთმენლად მოელიან საქმის დაწყებას, მაგრამ პირველ ბრალმდებელს ბ-ნ ქ. გურგენაძეს თითქო წინდაწინვე გადაეწყვიტა, რომ ქვარიანთან ის ლელოს ვერ გაიტანდა და ამიტომ მისი სიტყვაც მშრალი გამოდგა, თუმცა ემჩნევა, რომ ორატორი ტკბილი მოსაუბრეა.

მე, განაცხადა მან, ბრალს არა ვდებ „ქრისტინეს“ იმაში, რომ ის შესცდა. ვისაც ვინ უყვარს, იმას ადვილად ენდობა, მხოლოდ ქრისტინე დამნაშავეა იმაში, რომ ის გულუბრყვილოდ აჰყვა სონას დამღუპველ რჩევებს, მიატოვა მოხუცი მშობლები, მიატოვა ძუძუმწოვარი გოგი, გარდაიხვეწა ტფილისში და იქ მიეცა გარყვნილ ცხოვრებას. იმ ერთ კვირეს, როდესაც ქრისტინე მარტოდ მარტო იყო ჩაკეტილი

ოთახში, მას ეძლეოდა საშუალება სახლში დაბრუნებისა, შესწევდა ამის ცოდნა-გამოცდილებაც, უკანასკნელ შემთხვევაში შეეძლო ქუჩაში გამოსულიყო და ეყვირა: მიშველეთ, ვიღუპებით, და იმასაც პოლიციის საშუალებით უკან დააბრუნებდნენ, მაგრამ ეს არ მოისურვა და ამიტომ ღირსია გამტყუნებისა. ერთის მხრით სასოწარკვეთილი მშობლები, მეორეს მხრივ მშობლიურ გრძნობის მოღალატე ქრისტინე, ერთის მხრით აშკარა მეძაობა, მეორეს მხრით ძუძუმწოვარი, უპატრონოდ მიგდებული გოგი! თქვენი საქმეა როგორ განაჩენს გამოიტანთ—დაათავა თავისი სიტყვა ბ. გურგენაძემ.

დამცველთაგან დაწერილი სიტყვა წაიკითხა ბ-ნ ვ. მასხულიამ. სიტყვა კარგი ქართულით იყო დაწერილი და ამასთან მოხდენილ შედარებებით და უხვი მასალით შეზავებული. უმთავრესი ყურადღება ბ-ნ მასხულიას მიექცია „ქრისტინეს“ მშობლების პროტესტისათვის. მისი სიტყვა დამსწრე საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა.

უკანასკნელი სიტყვა ბ-ნ ქვარიანს ეკუთვნის. ყველა მისკენ იყურება. მას გვერდით უზის ცახცახით თავწაკრული „ქრისტინე“. იმის მეტი სათქმელი არ დამრჩენია-რა, რაც უკვე ითქვა აქ ჩემი ამხანაგებისაგან,—დაიწყო ბ-ნ ქვარიანმა. პატივცემული ბრალმდებელი ქრისტინეს ბრალს ვერ სდებს იმაში, რომ ის შესცდა, და ეს ხომ დიდი დანაშაულობა იქნებოდა მისი მხრით. მე ვეცდები რამდენადმე მაინც გამოვსთქვა ჩემი მოსაზრება ქრისტინეს საქციელზე. მოლაპარაკემ დაწვრილებით აგვიწერა ქრისტინეს უნუგეშო მდგომარეობა ოჯახში, მშობლების ტუქსვა, მეზობლების დაცინვა და განაგრძო: ჩვენ ავადა ვართ ერთ გვარის სენით, რომელსაც დატონიზმი ეწოდება და რაც შეიცავს იმას, რომ ვსჯით ადამიანს იმ თვალთა ხედვით, რომელიც ჩვენ მოგვწონს და იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელშიაც თვით ჩვენ ვიმყოფებით. ქრისტინეს აწვალებდნენ, სტუქსავდნენ, გარედ არ გამოესვლებოდა, ის ჩავარდა სასოწარკვეთილებაში და უიმედობას მიეცა. სამჯერ სცადა თავის დახრჩობა, მაგრამ ვერ გაბედა, და განა ჩვენ შეგვიძლია ყველას მოვთხოვოთ გამბედაობა, სიმამაცე და თავდავიწყება? ქრისტინე სუსტი ხასიათისაა, ვერ შერიგებია თავის მდგომარეობას და ეძებს გამოსავალ გზას. ყოველ ადამიანს აქვს ბუნებრივი ალღო თავის დაცვისა, სიცოცხლის შერჩენისა და, აი, ისიც ჰშველის თავს იმით, რომ ჰშორდება იქაურობას და ხდება მსხვერპლი იმ პირობებისა, რომელმაც იასონები წარმოშვა. ქრისტინე დამნაშავე კი არა, ის შებრალების ღირსია და ამიტომ მოვითხოვ, პატივცემულნო ნაფიცნო მსაჯულნო, რომ ქრისტინე არა თუ გაამართლოთ, არამედ ცრემლით უნდა ვიტიროთ, რადგან ის გახდა მსხვერპლი ჩვენ მიერვე შექმნილ მდგომარეობისაო...

ქრისტინეს ტრაგიკული სულის კვეთება ბ-ნ ქვარიანმა ღრმა დაკვირვებით გადმოგვცა და ამ მხრით მისი სიტყვა საუცხოვო იყო.

ილაპარაკეს აგრეთვე ვ. კალანდაძემ (მეორე ბრალმდებელი) და ი. გორდელაძემ (პირველი დამცველი).

ბრალდებულმა ქ-ნ ც. ქუონიამ წარმოსთქვა მოკლე, გრძნობიერი სიტყვა.

დასასრულ ქ-ნ კალანდაძემ ბ-ნ ვ. ასკურავას აკომპანიმენტით გიტარაზე შეასრულა ერთი ქართული და ორი რუსული სიმღერა. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა ის და რამდენიმეჯერ გაამეორებინეს. ხმა ქ-ნ კალანდაძეს კარგი აქვს. შემდეგ წაიკითხეს: ბ-ნ გრ. გიგინეიშვილმა შოთასადმი მიძღვნილი თავისი ლექსი, ბ-ნ შხანკლომ საალდგომო ლექსი და ბ-ნ ვ. მასხულიამ ლექსი-სატირა: „ბედნიერი ერი“.

ბევრი აცინეს დამსწრე საზოგადოება ბ.ბ. ათ. წულაძემ და პ. ჟორდანიამ, პირველმა გურული და მეორემ გურულ-მეგრული სცენების წაკითხვით.

ასეთივე გასამართლება მოხდა 31 მარტს **ქ. ოზურგეთში.** წინა ღღით განზრახული იყო სალიტერატურო საღამოს გამართვა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდნენ ახალგაზდა მგოსნები, მაგრამ არ შესდგა.

ქრისტინეს გასამართლება სულ ორი დღის მოფიქრებული საქმე იყო და, მიუხედავად ამისა, ბრალმდებელმა ბ-ნ აპ. ძულაძემ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და „ქრისტინეს“ გამტყუნების კურსი ძლიერ მაღლა ასწია. ქრისტინეს დამცველი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი ბიბურიშვილი მომზადებით სუსტი აღმოჩნდა. წულაძე კარგი მოსაუბრეა, ალაგ-ალაგ ის თავის სიტყვაში მოსწრებულ ხუმრობასაც ურევდა და ამიტომ მსმენელთა გულის დაპყრობა ადვილად შესძლო. მან ბრალი დასდო ქრისტინეს იმაში, რომ ის მოტყუვდა იასონის ფიცით, მიატოვა მშობლები, ძუძუმწოვარი გოგი და გაიქცა ტფილისში. აღნიშნა-თუ როგორ უზრუნველყოფილი არიან ამ შემთხვევაში მდიდრების შვილები, რომლებიც მით უფრო კარგად იზრდებიან სპეციალურად ამ მიზნისათვის დაარსებულ კოლონიებში. ბ-ნ ბებურიშვილმა უარჰყო ეს და განაცხადა: განა თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ბებია გოგის ნაკლებად მოუვლიდა, ვინემ ნამდვილი დედა ქრისტინე? აქ ბ-ნ წულაძემ მოსწრებულად გასცა პასუხი, რომ ის ბრალს სდებს ქრისტინეს იმაში, რომ მან მიატოვა გოგი ძუძუმწოვრობის ხანაში, სანამ ის ჯერ კიდევ საჭიროებდა დედის მკერდს, მხოლოდ დამცველისაგან მასზე მოწერილი აზრი—თითქო ის თხოულობდეს, რომ ქრისტინემ რატო თან არ წაიყვანა გოგი და ან რატომ არ დაბრუნდა შემდეგ სახლში,—წულაძემ უარჰყო და სთქვა: დიდი დაკვირვება გამოიჩინა სხვა შემთხვევაში „ქარაფშუტა“ ქრისტინემ, რომ მან თან არ წაიყვანა გოგი და შემდეგ სახლში არ დაბრუნდა. ტფილისში წაყვანით გოგის ის დააყენებდა იმავ გარყვნილების გზაზე, მხოლოდ სოფელში ჩამოსვლით მას შეეძლო ავადმყოფობა,—გარყვნილების შემოტანაო. უკანასკნელ სიტყვაში ბ-ნ წულაძემ ქრისტინეს საქციელი სანინისებურ მოქმედებას და მიხაროულებას მიამსგავსა და აქ სწორედ რომ დიდი შეცდომა ჩაიდინა. ბ-ნ ბებურიშვილმა ამ უკანასკნელზე ღირსეულად უპასუხა.

სანამ გასამართლება დაიწყებოდა საზოგადოებიდან ამოირჩიეს ნაფიც მსაჯულებად ექვსი ქალი და ექვსი კაცი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა ექიმი აბაკელია. წევრებად იყვნენ ქალაქის მოურავი პ. ბერიძე და ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ. ხუნდაძე. ნაფიცი მსაჯულები თათბირს დიდ ხანს მოუნდნენ. ბოლოს გამოიტანეს გამართლების განაჩენი. ამავე დროს საზოგადოებაში ბარათების ჩამორიგებით ანკეტა მოახდინეს. ანკეტა მეტად ცუდ პირობებში სწარმოებდა. საზოგადოებიდან ქრისტინე გაამართლეს 60 და გაამტყუნეს 56 ხმით.

ძიი.

პატარა ფელეტონი

ბუნების კალთაში.

ქალაქ გარედ გავემგზავრე გასასეირნებლად. კვირა დღე და მშვენიერი, ნათელი; მზიანი დარი იყო. აქა-იქ, კანტი-კუნტად, შემეხვდნენ მოსეირნე ექსკურსანტები. ვეება, თვალ-უწვდენმა ტფილისმა, სადაც სამასი ათასი მცხოვრებია, მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი გაჰგზავნა ბუნების მისასალმებლად; დიდი უმრავლესობა კი კვირა-უქმე დღეებშიაც ქალაქის მტვერიან-ტალახიან ქუჩებს სტკეპნის და ერთმანერთის მოკაზმულობასა და სახის მოსაწყენ დაღრეჯილობას ათვალიერებს.

ყველა ეს გონებისა და ნების სისუსტის ნიშანია. ქალაქელმა ადამიანმა კარგად იცის, რომ ქალაქ გარედ სუფთა ჰაერი და ნათელი, მტვერში გაუცრელი, ცხოველ-მყოფელი მზის შუქია, კარგად იცის ყველა ეს, მაგრამ მაინც გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტების ტკეპნას რჩეობს. რით აიხსნება ეს უცნაური გარემოება, თუ არა იმით, რომ ეს ცოდნა ქალაქელ ადამიანის ძვალ-რბილში, სულსა და გულში გამჯდარი და მომქმედ, მმოძრავ ძალად გადაქცეული არაა. ერთი სიტყვით აქაც თავს იჩენს იგივე მოვლენა, რომელიც ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში ნათლადა სჩანს.

უცხოეთში ქალაქელი მცხოვრებნი კვირა-უქმეებში მრავლად ეფინებიან ქალაქ გარედ არე-მარეს. ამ მხრივ იქ შეგნება, ფიქრი ცხოვრების მოძრავ, პრაქტიკულ ძალადაა გადაქცეული: იქ ადამიანს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი ფიქრი-დროთი-დრო სულიერი და ხორციელი განახლების საჭიროების შესახებ. ჩვენ კი, აღმოსავლეთის ხალხი, უძრავი, მკრთალი ოცნების შვილები ვართ. ბუნებას მხოლოდ სიზმარში თუ ვხედავთ და ლექსებში ვამკობთ; ცხადში კი ჩვენი ბუნება — ქალაქის უფერული და უხალისო ქუჩებია.

აიღეთ მაგალითად ჩვენი დროის ქართული პოეზია, ჩვენებური მოშაირობა. ცოტათი რომ დაუკვირდეთ, მაშინათვე შეატყობთ, რომ იგი ნამდვილი ქალაქური შემოქმედებაა. ეს პოეზია თბილად არ ეხება ადამიანის გულს: ცივია და მკრთალ-ბუნდოვანი, როგორც ქალაქის მტვერში გაცრილი შემოდგომის მზის შუქი. უმრავლეს ჩვენ პოეტთა ყურადღება ლექსის გარეგნობაზე, ფორმაზეა მიქცეული. ამ მხრივ ის-ნი ქალაქელ კოპწია ქალებს ჰბაძავენ, რომელნიც ცდილობენ გარეგნული ლამაზი სამკაულით სულის ულამაზობა უშინაარსობა დაჰფარონ.

რა ქნან ჩვენმა საწყალმა პოეტებმა? ისინი სრულებით არ იცნობენ ცხოველსა და დიდებულ მშვენიერებით ალსავსე ბუნებას, ვერ მიუგნიათ იმ უშრეტ წყაროსათვის, რომელსაც იმათი უფერული შემოქმედების განახლება ძალ-უძს. ისინი ქალაქის ქუჩებს არ შორდებიან, სადაც ყოველ ნაბიჯზე ქალაქელი კოპწია ქალები ეჩხირებიან თვალში. საკვირველიც არაა, რომ ჩვენმა პოეტებმა, თვისდა შეუმჩნევლად, თანდა-თან ამ ქალთა ქცევა შეითვისეს და შაირ-სიტყვით კოპწია პოეზიის მუზას ემსახურებიან.

განსვენებული სახელოვანი პოეტი ჰენრიხ ჰეინე დაუდგრომელი და ცელქი მუზის ტრფიალი იყო. იმის ნაწერებში წრფელი პოეზიის შუქით გამთბარ ლექსების გვერდით უცნაურად მოკეკლუცე აზრებსაც შეხვდებით, მაგალითად იგი ერთ ადგილას ამბობს: „პოეზიაში ფორმა, გარეგნობა ყველაფერიაო“. მერე იცით რა ახირებულად მსჯელობს ამ აზრის დასამტკიცებლად? ბერლინელი სახელ-განთქმული ესა და ეს თერძი (გვარი არ მახსოვს) ფრაკისათვის საჭირო მასალას არაფრად აფასებს, მხოლოდ გამოსჭრის და შეკერვის ფას ახდევინებს თავის მუშტრებსაო. აქედან ჰეინე დაასკვნის, რომ პოეზიაშიაც გამოჭრა და შეკერვა პირველი საქმეა, მასალა-შინაარსი კი არაფრად ფასობსო.

ამ ახირებულ მსჯელობას თვით ჰეინეს ბევრი, საუცხოო ლექსი არღვევს, სადაც მხიბლავ გრძნობით აღსავსე შინაარსი თითქო ფორმას, გამოხატულებას არ ეძებს, თავისუფლად ჰპოვებს უბრალო, მარტივ სამოსელს, რომელიც, შინაარსთან ერთად მარტივ შემოქმედებით გვიტაცებს.

ამიტომ რაც მიეტევება ჰეინეს—არ მიეტევება ჩვენს პოეტებს.

პოეზია ხომ ნამდვილი ადამიანობის ღრმა და წრფელი გრძნობისა და ფიქრის მხატვრული გამოთქმაა. ნამდვილ ადამიანს სამოსელი რომ შემოაგლიჯოთ, იგი მაინც ადამიანად დარჩება, უმრავლეს ჩვენ პოეტურ ნაწერს ფორმა, სამოსელი რომ შემოაძარცვოთ, არაფერი არ შეგრჩებათ ხელში.

შეადარეთ ახლა ერთმანეთს ჰეინესი. და ჩვენი პოეტების ტრფიალება. ჰენრიხ ჰეინეც დიდი მოარშიყე ვაჟბატონი იყო და ქალის შვენებას მრავალ-ნაირად ამკობდა. მაგრამ შემკობაც არის და შემკობაც. ქალის შესამკობად საჭირო ძვირფას მარგალიტებს ჰეინე იმ ბუნების ულევ სალაროში ჰპოებდა, რომელსაც ჩვენი პოეტები ვერ იცნობენ და გაურბიან. ჰეინეს ტრფიალება ბუნების ტრფიალებასთან წრფელი პოეზიის ოქროს მძივებით შეკავშირებულია.

როცა ჰეინე ღამე ზეცის დიად მყუდროებას აგვიწერს და გვებაასება ამ საუკუნოდ აუხსნელ ამოცანაზე, პაწია მოციმციმე ვარსკვლავებზე, რომელნიც განკების უხილავმა მარჯვენამ სამარადისოდ „მიაჭედა ოქროს ლურსმნებით ცის კამარაზე“, თქვენ სულს ამ დიდებულ ამოცანას ღრმა პოეზია ეუფლება. როცა იგივე ჰეინე ამბობს, რომ ვერავითარმა სიბრძნემ ვერ განუმარტა, ვერ აუხსნა ამ ამოცანას იდუმალობა, ვერ გაუგებინა უხმოდ მოციმციმე ვარსკვლავების ენა, სანამ თავის საყვარელ გრეტხენს ღრმად არ დააცქერდა თვალებში და შიგ არ ჰპოვა ამ ენის ასახსნელი გრამატიკა,—როცა იგივე ჰეინე ამბობს ყველა ამას, თქვენ გულიანად იცინით, მაგრამ ეს სიცილი „უძირო ზღვის ზედა პირზე მოციმციმე მზის სხივებს“ შეედრება. პოეტმა გააღრმავა თქვენი ადამიანური სული, ამცნო ზეცის დიადი იდუმალობის პოეზია და თუმც შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, ჭირვეული ბავშვივით თავის საყვარელ ქალის თვალებზე გადავიდა, პოეტის მიერ თქვენ ადამიანურ სულისა და გულის სიღრმეში ჩანაწვეთი წმინდა წვეთი ამ სულსა და გულშივე სამუდამოდ დარჩა.

გადავიდეთ ახლა უმრავლეს ჩვენ პოეტებზე, თვალი მოვავლოთ იმათ შაირებს და ნათლად დავრწმუნდებით. რომ იმათაც ჰპოვეს თავ-თავიანთ სტროფთა თვალებში გრამატიკა, ხოლო არა ზეციური, არამედ ამ ქვეყნიური, ცივი.

რა უნდა დაასკვნან საბოლოოდ ჩვენმა პოეტებმა ამ ჩემ ნაწერიდან? მხოლოდ ის, რომ გულწრფელად ურჩევ იმათ, თავის სატრფოებთან ხელიხელ გაყრილნი (იმათი დაშორება შეუძლებელია) ქალაქის მყრალ ქუჩებს მოშორდნენ და ქალაქ გარედ ეძიონ თავისი და ჩვენი სულის განმაახლებელი ბუნების უშრეტი და ცხოველ-მყოფელი წყარო.

ილია ნაკაშიძე.

მოწერილი ამბები

ს. დიმი. ქუთაისის მაზრა. 8 აპრილს დიდი მოლოდინის შემდეგ **წვრილ კრედიტის ინსპექტორმა ზ. მიქელაძემ** გახსნა დიმში **დიმის საკრედიტო ამხანაგობა,** რასაც დაესწრო 36 წევრი. გაცილებით მეტი დაესწრებოდა, რომ ინსპექტორი სხვა და სხვა მიზეზების გამო აღნიშნულ დილის ათი საათის მაგიერ საღამოს ხუთ საათზე არ მოსულიყო. ამხანაგობის მოხელეებად ამოირჩიეს 13 კაცი: 1—საპატიო მზრუნველად ამ სოფლის შვილი და ამ საქმის მოთავე გენერალ-მაიორი მიხეილ ჩხეიძე; 3—გამგეობის წევრები; თორნიკე გეგეშიძე, მღ. მიხეილ ჩიტაძე და ილიკო ხარაბაძე, 2—გამგეობის წევრების კანდიდატი, 5—საბჭოს წევრები და 2—მათი კანდიდატი. ამ თავად ამხანაგობას მიეცა ძირითად, თანხად გძელ ვადიან, 3000 და 4000 მან. მოკლე ვადიან სესხად. მთელ ვეებერთელა ბაღდადის საბოქაულოში დიმის საკრედიტო ამხანაგობა არის ერთად-ერთი და უნდა ვსთქვათ რომ ძალიან კარგ დროს გაიხსნა, რადგანაც დიმელები აპირობენ მდ. ხანის წყლიდან სარწყავ არხის გამოყვანას სახნავი ადგილების, ეგრედ წოდებულ: „ნაგუთნები“, „წითლიანი“ და „ჯღურული“-ს სარწყავად. ამ არხის გამოყვანას თაობს ზემოთ დასახელებული გენერალი ჩხეიძე. პირველი განაჩენი ამის შესახებ დაადგინეს დეკემბერს 1909 წ., ეხლა ეს არხი კარგი ხნის გაყვანილი იქნებოდა, რომ ადგილობრივი მდიდარი მემამულე ანანოვი არ გვიშლიდეს ხელს. საქმე იმაშია, რომ იმათი ადგილები, რომელთაც სარწყავი ჩვენსაზე ნაკლებ არ სჭირდება, მდებარეობს ს. დიმის ქვევით—ჩრდილოეთით. არხის გამოყვანა ამათაც სურთ, მათმა არხმა კი ჩვენ სარწყავ ადგილებზე უნდა გამოიაროს, ორი არხის გამოყვანა ჩვენ ადგილებს ამცირებს, ზარალს გვაძლევს და უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს, ამისათვის ჩვენ მივეცით ანანოვებს სამართლიანი წინადადება: ჩვენთან ერთად საზიაროდ გამოეყვანათ არხი, რა პირობითაც მოისურვებდენ, ისე რომ როგორც მათი ისე ჩვენი ინტერესები უნდა დაცული ყოფილიყო. აქ შეუძლებელი არაფერი არ იყო, პირიქით უფრო სასურველიც უნდა ყოფილიყო ორივე მხარისთვის, რადგანაც ბევრად უფრო იაფად დაუჯდებოდა ორივე მხარეს, დიმელების არხისთვის უფრო ცოტა ადგილი გაუცდებოდათ.

მაგრამ ანანოვებისაგან გადაჭრილი პასუხი ჯერ არ ისმის.

თ. ჭყონდიდელი.

ხაშური. ხაშურმა რომ გამოიღვიძა და მისწრაფვის კულტურულად განვითარებისათვის და რომ უმყვირალო ნაყოფიერ შრომას ეწევა შეგნებას და სინათლის მოსაფენად, რომ თავისი წვლილიც შეიტანოს საერთო კულტურულ შრომაში ეს ცხადზე უცხადესია. საკმარისია მოვიგონოთ, რომ ამ მოკლე ხანში ხაშურმა შეჰქმნა: ა) თავისი საკუთარი კერძო პროგიმნაზია, რომელიც თითქმის უზრუნველყოფილია ქონებრივად და რომელიც დღე-დღეზე მოელის მთავრობისაგან სასწავლებლისათვის უფლების მინიჭებას. ბ) ააგო მშვენიერი გეგმის ქვის ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა და გალობა სრულდება გასაგებ სამშობლო ენაზე. გ) დაარსა და აწარმოებს საკრედიტო ამხანაგობას, რომელსაც ძირითადი და საწარმოვო თანხა 11,000 მანეთი აქვს. ეს დაწესებულება თავის დანიშნულებისამებრ ცდილობს სოფლის მეურნეთა შორის კოოპერაციის მნიშვნელობას და სარგებლობის შეგნებას ხელი შეუწყოს. დ) დაარსა უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომელსაც ბლომად მოეპოვება ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, და განსაკუთრებით-კი ქართული, რომ სამკითხველომ მიზანს მიაღწიოს, და შესძლოს საზრდოება ადგილობრივ მკვიდრთა, და ამშორის სამიკიტნოებს და ლოთობას. ე) გამართა სადგური ელექტრონული განათებისათვის, გასანათებლად ქუჩებისა, მაღაზიებისა და ბინებისა, და განზრახულია მრავალი სხვა და სხვა სასარგებლო საქმეების განხორციელება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი გაკეთდა სულ მოკლე ხანში, და ისიც მრავალ დაბრკოლებათა შორის, ადვილი მისახვედრია, თუ მოღვაწენი წრფელის გულით და შეურყეველის რწმენით იქნებიან გამსჭვალულნი მოძმეთათვის სასარგებლო და კულტურულ საქმის განხორციელებისათვის სამშობლოს ასაყვავებლად, ყველაფერი ადვილია. ამ მხრივ ადგილობრივ ერთი მუჭა შეგნებულ მუშაკთ ჯერჯერობით მადლობის მეტი არა ეთქმით რა, და სასურველია მათ აღმოუჩნდეთ მიმბაძავნი. მეტადრე მაშინ, როდესაც მათ მრავალი მიზეზები ელობებათ წინ, არამც თუ გარეშეთაგან, არამედ იმათგანაც, რომელნიც ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ყოველ სასარგებლო კეთილ საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი სოფლის რწმუნებულნი ე. ი. სოფლის ნდობით აღჭურვილნი, ყოველთვის აშკარა წინააღმდეგობას უწევენ. ყოველ კულტურულ საქმის დასაწყისს. აი მაგალითი სხვათა შორის: **საკრედიტო ამხანაგობის** დაარსებას დღეს ეს ვაჟბატონები სიტყვით რომ ვერა გააწყეს-რა ძალმომრეობას მიმართეს და საზოგადოება იძულებული იყო ძალითვე გაედევნა ისინი კრებიდან. მაგრამ არ გასულა ორი დღე, რომ იგინივე სესხს ღებულობდნენ ამხანაგობიდან, 25—30% ჩარჩების ვალების გასასტუმრებლად. დროა, სოფლელებმა გამოიღვიძონ და თავიანთი ინტერესების დაცვა უფრო სანდო და შეგნებულ პირთ ჩააბარონ.

აღდგომის დღიდან დაწყობილი აქ ძალიან ცუდი ამინდები დაიჭირა. გადაუღებლად სწვიმდა სამი დღე და 26-ში თოვლიც მოვიდა, რომელიც უეჭველია ხეხილზედ ცუდ გავლენას იქონიებს.

წრევანდელმა აღდგომის დღესასწაულმა არა ჩვეულებრივად ჩაიარა. წარმოიდგინეთ წრეულს აღდგომის დღესასწაულზედ ქუჩაში ვერ ნახავდით მთვრალ ადამიანს. ამ მხრივ აქაური ქუჩები მოგაგონებდათ განათლებულ ქვეყნების დიდ ქალაქების ქუჩებს. ამისი მიზეზი ის იყო, რომ ადგილობრივ შეგნებულ მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ჩვეულებრივი ურთი-ერთი დარბაზობა, ლოთობა ქეიფი მოესპოთ, რომ ხელი შეეწყოთ ლოთობის მოსპობისათვის და დაადგინეს ნაცვლად დარბაზობისა ნიადაგი გაემაგრებინათ ახლად დაარსებული **უფასო სამკითხველოს არსებობისათვის,** და ყოველ ესეთ პირს თითო მანეთი გადაეხადა სამკითხველოს სასარგებლოდ.

ალმასხანის-შვილის-შვილი.

ოსმალეთ-იტალიის ომი

დეპეშები

სტამბოლი. ჯერ მთავრობას ვერ გადაუწყვეტია დარდანელის გახსნა, მაგრამ ირწმუნება, თუ იტალიის ფლოტი დარდანელს იმდენად, დაჰშორდება, რომ საშიში აღარ იქნება, მზადა ვარ გავხსნა დარდანელის გზაო.

იტალიელთა ფლოტის ნაწილი კუნძულ ლემანსის ნავთსადგურ მუდროსში სდგას.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თავრიზი. 9 აპრილს ეფრემის ამხანაგის სეიდ-აკაზიმის მეთაურობით ზენჯანს რაზმი წავიდა.

ყარაჯაგის გუბერნატორი იუწყება: ხადკარის თემის შაჰსევენებმა ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი და ამ დღეებში შაძლის თემელებს დაეცნენ, სამი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს და მათი ქონებაც დაუტაცნიათო, შეშინებული მცხოვრებნი აგარაში გროვდებიან.

თავრიზის გენერალ-გუბერნატორმა ნეჯეფის მუშტეიდებისაგან დეპეშა მიიღო. იგი მოუწოდებს მცხოვრებლებს, თავი დაანებეთ ერთმანეთის მტრობას, რამაც უცხოელთა ჯარის შემოსევა გამოიწვია, შეერთდით, მთავრობას დაეხმარეთ, და ანარქია-არეულობამ მოსპო მაჰმადიანთა ერთობამო.

არდებილიდან თავრიზს ჩამოიყვანეს ყაჩაღი უნუსი, რომელსაც ერთ-ერთ ყრილობაზე 9 კაცი დაუხვრეტია. ამ დღეებში უნუსს ჩამოაღრჩობენ. დააპატიმრეს სათარხანის მომხრე ბაზარ-ბაში, რომელსაც ბევრი იარაღი და პატრონა უპოვნეს.

სამხედრო სამინისტრო მთავრობას შეეკითხა: თავრიზში სპარსეთის ჯარი რამდენია და რუსისა რაღამდენიო?.. ხმა დავარდა, შაჰსევენები ცხვარს ჰყიდიან და, იარაღს ყიდულობენ, რომელიც რუსეთიდან მოსდითო.

ურმია. ქურთები სირაელთა სოფელს ანგარს თავს დაესხნენ, მაგრამ ორი კაცი დაუჭრეს და მთებში გააქციეს სოფლელებმა.

ქოი. ჯაბირ-ფაშა მოვანიდან სალდუზს წავიდა. სოუჯბულაყიდან მის მისაგებებლად ოსმალეთის კონსული წამოსულა. სულდუზის ოლქში ოსმალებმა გადასახადის დამატებითი წესები გამოსცეს. ოლქში დაბანაკებულ ჯარს სოფელ ნაგათთან აგროვებენ.

შემოწირულობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ შემოსწირეს:

1) ნიკოლოზ **ავალიშვილმა** და მისმა ოჯახობამ: ა) სხვა და სხვა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები; ბ) ერთი მონგოლური წიგნი (ხაილარის ბიბლიოთეკიდან); გ) რამდენიმე გუჯარი; დ) ჟურნალები: „ცისკარი“ 1857—1874 წ.; „ივერია“ 1879, 1881 და 1883 წ.; „იმედი“ 1881 და 1883 წ.; „საქართველოს მოამბე“ 1863 წ.; „მოამბე“ 1894, 1897, 1903, 1904 და 1905 წ.; „მოგზაური“ 1901 წ.; „მნათობი“ 1869—1872 წ.—სულ 220 წიგნი; ე) გაზეთები: „დროება“ 1866—1884 წ.; „გუთნის დედა“, „სასოფლო გაზეთი“, „ცისკარი“, „ივერია“, „მეურნე“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „ამირანი“, „ნიშადური“, „საქართველო“, „ფასკუნჯი“, „ალმანახი“, „კვალი“, „სხივი“, „სიტყვა“, „გლეხი“, „მეგობარი“—სულ 5426 ნომერი; ვ) რუსული გაზეთები: „Возрожденіе“ და სხვა—სულ 79 №; ზ) აფიშები და პროგრამები 1869—1895 წ.—სულ 446 ფურცელი; ც) სხვა და სხვა ქვეყნის ძველი ფულები 130 ცალი; თ) სპარსული მუზარადი; ი) ფარი; ია) სამკლავე და იბ) დევრიშის ნაჯახი.

2. მედიცინის დოქტორმა ივ. **თიკანაძემ** და ნიკ. **ავალიშვილმა** თავრიზში საერთოდ შეძენილი ოთხი სპარსული წიგნი.

3) თავრიზში მცხოვრებ დავით საგინაშვილის ჩამომავალთა: სოლომონ და დავით **საგინიანების** ოჯახობამ—ალექსანდრე ბატონიშვილის სურათი, ვინმე ჯანჯულაზიანის დახატული 1841 წ.

4) ურმიაში მცხოვრებმა **ანჯაფარიძემ** სპარსული წიგნი: „ნადირ შაჰის გალაშქრება საქართველოზედ“.

5) დავით **ყანდარელმა** — ძველი ეკლესიის მოდელი, სეფისკვრის ბეჭდად გაკეთებული.

6) ნინო **ავალიშვილისამ** — ბროლის ორი ყანწი, გარდმოცემით მისი პაპისათვის ნათლულის საჩუქრად ბოძებული.

7) დარია დავითის ასულმა **გოცირიძისამ** — ვერცხლის სამი ძველი სპარსული ფული.

8) სოფიო ანდრიას ასულმ **ტოტაძისამ**—ოქრომკედით ნაკერი სარტყელი და გულისპირი.

9) მარიამ გრიგოლის ასულმა ხუციშვილისამ — კაჟიანი ძველებური თოფი.

10) სოფიო ქაიხოსროს ასულმა ფავლენიშვილის მეუღლემ—უმარილის სადაფი და სამკაული.

11) მოსე ივანეს ძე თოიძემ—ერთი თეთრი და ორი შავი ძველი ფული.

12) მინადორა დომენტის ასულმა ჩაჩანიძისამ—ერთი ვერცხლისა და ერთი ძველი შავი ფული.

13) დავით ს. გორგაძემ — ერთი ძველი შავი ფული 1823 წლისა.

14) მარიამ გაბაშვილისამ — საქარგავი ნიმუში.

15) ელენე შლიტტერისამ—რკინის წვერიანი ჯოხი (შუშის მსგავსი)

16) ადამ ელანიძემ—თუშური ბანდულები.

17) ხირსის მონასტრის ბერმა ათანასემ — ხუცური ხელნაწერი სახარება.

18) ალალო თუთაევამ; ა) ყანაოზის ანუ გლასის პერანგი ალექსან-

დრე ყაზიბეგის ბავშობისა, ეს პერანგი თვითონ ალექსანდრე ყაზიბეგს გადაუცია თუთაევისთვის შესანახავად; ბ) ფოტოგრაფიული სურათი იესე რომანის ძის ფავლენიშვილისა (ტყვიაველი); გ) ორი შავი ფული, ერთი ვახტანგ მეფისა და ერთი ეკატერინე II-სა.

19) ელენე მიხეილის ასულმა ტერიევისამ—10 სიგელ-გუჯარი.

20) ზაალ ივანეს ძე ტერიევმა: ა) სპარსული წარწერა მარმარილოს ქვაზე (სპარსეთიდან მოტანილი); ბ) ძვლის ტარიანი პატარა მაშა; გ) სპარსული ბეჭედი ვერცხლისა; დ) სამი სპარსული თეთრი ფული და ორიც შავი; ე) სპარსული შანა.

21) პეტრე გრიგოლის ძემ მამრაძემ—პონტოს ძველი ფული.

22) თავად ვახვახიშვილის მეუღლემ ნინო შარმაზნის ასულმა: ა) სპილენძის ჯამი, ბრინჯაოს ხუთი ჩანჩხურა (სხვა და სხვა ცხოველების სახით), ბრინჯაოს პატარა ზარი და ვერცხლის სპარსული ფული (სუყველა ეს ნაპოვნია ს. შილდაში ვენახის ბარვის დროს); ბ) ოქრომკედის დასართავი სპილოს ძვლის თითისტარი თავის კვირისტავით.

23) სოფიო შიუკაშვილმა—ქ. თელავში ნაპოვნი შავი ფული თეიმურაზისა.

24) გიგო ყარანგოზიშვილმა—თავის საგვარეულოს რამდენიმე სიგელ-გუჯარი.

25) თავად მაყაშვილის მეუღლემ ანნა ნიკოლოზის ასულმა—23 სიგელ-გუჯარი მე-18 და მე-19 საუკუნისა.

26) ლავრენტი შატბერაშვილმა—შავი ფული ბაქარისა.

27) ნიკოლოზ დადიანის ასულმა თავად ნაკაშიძის მეუღლემ სოფიომ: ა) საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი და ბ) ბეჭედი.

28) ჟურულის ქვრივმა ქეთევანმა: ა) მძივით ნაკერი ქისა და ბ) ერთი თეთრი და ერთი შავი ფული.

29) მარიამ პავლეს ასულმა ფონდერ-ნონემა—უმარილის სალესავი.

30) პავლე მაჭავარიანმა (სოფელ ილმიდან)—თიხის ჯამი და თიხის ჩაფუნა.

31) ასოთ-ამწყობმა ილარიონ სონღულაშვილმა — ორი ხელნაწერი: „წამება ქეთევან დედოფლისა“ და 1873—1875 გორის საპყრობილეში დაწერილი ლექსები ტუსაღ ვ. ი. ორჯონიკიძის მიერ.

საზოგადოების საბჭო დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. ხუთშაბათს, 12 აპრილს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობამ, ქ. ტასო და ვასო აბაშიძის მონაწილეობით, წარმოადგინა „ორი ჯიბგირი“, რომელშიაც გამოყვანილია, უმთავრესად, საზოგადოების ნაძირალთა,—ქურდბაცაცა-ჯიბგირთა ყოფა-ცხოვრება. მელოდრამული ხასიათი რომ არა სდევდეს ამ პიესას, იგი არაა ინტერესს მოკლებული.

ბ. ვ. აბაშიძე (ლიმსი), როგორც მოთამაშე კარგი იყო, მაგრამ, როგორც რეჟისორი ვიიკოჭლებდა, ეს ემჩნეოდა პიესის ასრულების დროს ბევრს წვრილმან შეცდომას.

ნეტავი ქართ. მსახიობთა ამხანაგობა კეთილ ინებებდეს და ანგარიშს გაუწევდეს იმ გარემოებას, რომ როგორადაც ისინი მოელიან საზოგადოებისაგან ნივთიერ დამაკმაყოფილებელ შემოსავალს ეგრედვე საზოგადოებაც მსახიობთაგან მოელის, რამე ახალ, ან შინაარსიან პიესების დადგმას.

პიესაში მონაწილეთაგან აღსანიშნავია: მგალობლიშვილი (რობერტი), ჩერქეზიშვილი (ზეფირსონი), ივანიძე (მიულო), ტ. აბაშიძე (ფანფან) და ქ.—ნებიერიძე (სიპლიცია). წარმოდგენა გათავდა თითქმის ორის ნახევარზე.

გ. ა.

დღეს **ქართულ თეატრში** ახალგაზდა მსახიობი **დ. მგალობლიშვილი** გამართავს წარმოდგენას. ქართველ მსახიობთა ამხანაგობ. მიერ წარმოდგენილი იქნება დავით ერისთავის ცნობილი ისტორიული პიესა **„სამშობლო“**. უმთავრეს როლებს შეასრულებენ ლეონიძისას გუნია, ქეთევანისას ქილარჯიშვილი, შაჰაბაზს იმნელი, ფაიხოშ—ტ. აბაშიძე, ხიმშიაშვილს—დ. მგალობლიშვილი.

დღეს, **ზუბალაშვილის სახლში ნაშუადღევის პირველ საათზე** დანიშნულია **სალიტერატურო დილა** ი. ნაკაშიძე წაიკითხავს ლექციას ეგ. ნინოშვილზე. მონაწილეობას ღებულობენ: პ. ფ. ვილშაუ, ცაცა ამირაჯიბი, გ. ქუჩიშვილი, რონელი, მჭედლიშვილი. ო. ლეჟავა, ქ-ნი შერვაზოვისა, ი. გრიშაშვილი, ბ-ნი დანოვსკი, კ. ანდრონი, ა. წულაძე.

შემოსავალი დანიშნულია ტფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ.

ნაძალადევის თეატრი. კვირას 15 აპრილს 1 საათზე **ი. გომართელი** წაიკითხავს ქართულად ლექციას: პლექი და ათაშანგი. ბილეთები: 5 კ. 10 კაპ.

ქუთაისის ქართულ მსახიობთა ამხანაგობა რომელიც ეხლა დასავლეთ საქართველოში მოგზაურობს კვირას, 15 აპრილს ითამაშებს **ბათომში.** წარმოდგენილი იქნება **„მორევში“** ქანტურიშვილისა. აქედან დასი გაემგზავრება **ოზურგეთში** სადაც ითამაშებენ სამშაბათს და ოთხშაბათს. დასი გამართავს იუმორისტიულ საღამოს **ქ. ფოთში** ხუთშაბათს. **სენაკში** პარასკევს. შაბათს და კვირას დასი ეწვევა **ზუგდიდს** სადაც გამართული იქნება ორი წარმოდგენა.

წერილი რედ. მიმართ

„ნაძალადევის“ თეატრს შემოსწირეს; 1) მარიამ საფაროვ-აბაშიძისამ ფულად 10 მან. 2) ალ. ხახუტაშვილმა თუნუქაზე წარწერილი წესები თეატრისა ქართულ-რუსულად ღირებ. 2 მ. 3) ილ. გორბენკომ დიდი სურათი ღირებული 5 მან. 4) იოს. კვანტალიამ პიესები და სხვა ნივთები ღირებული 15 მან.

„ნაძალადევი“-ს სცენის მოყვარეთა წრის გამგეობა დიდს მადლობას უხდის ზემოხსენებულ პირთ შემოწირულებისათვის.

წრის გამგეობის მდივანი იასონ ფანიაშვილი.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება დამრთეთ გულითადი მადლობა გამოუცხადო ჟურნალ „განათლების“ პატივსაცემ რედაქტორს ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელიც ერთი თუმნით დამეხმარა უნივერსიტეტში შესატან სწავლის ფულის შესავსებად.

პატივისცემით **დ. თურდოსპირელი.**

ქ. კიევი.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ შემდეგ ანგარიშს.

8 მარტს ამა წლისა ქალ. ქუთაისში ელექტრო-თეატრში „რადიუმში“ გავმართეთ სურათების ჩვენება არქიელის გორის სამკითხველოს სასარგებლოდ, რომელიც ადგილობრივ ქ. შ. წ. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილების განკარგულებაშია.

შემოსავალი იყო შემდეგი: ბილეთების გაყიდვისგან—312 მ. 60 კ. შემოწირულება ა. ფ. გან. 5 მ. №—საგან 50 კ. ზოგიერთ მოწაფეთაგან 16 მ. 9 კ. და სრულიად 334 მ. 19 კ., დაიხარჯა: თეატრის ქირაში და მარკებში 132 მ., წმინდა მოგება დარჩა 202 მ. 19 კაპ.

მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს დიდი მადლობა მიუძღვნათ ყველა იმ პირთ, რომელნიც დაგვეხმარნენ ამ საქმეში და მით ხელი შეუწყვეს ასეთ სიმპატიურ დაწესებულების აღორძინებას, როგორიც სამკითხველო. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან შემდეგ სასწავლებელთა გამგენი: ქალთა საეპარქიო და ვაჟთა სასულიერო სასწავლებლების, კერძო გიმნაზიისა, საბავშო ბაღისა და საქალაქო პირველ დაწყებითი ილია ჭავჭავაძის სახელობაზე არსებულ სკოლისა, რომელთაც მოწაფეები მოიყვანეს ელექტრო-თეატრში და მით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს და კასასაც შემოსავალი შემატეს.

საღამოს გამგენი **მელანია გველესიანისა და რაჟდენ კანდელაკი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 3 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ბ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/70, I—III კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუხდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715)

გემების მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიებას და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი.

(თ. 1646.4)

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილ 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ, ყვავილს უცრიან. ძიებას ამოსწმენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—53)

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“—11—12 ს. **შეხვედრა კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

(წ. 1074.58)

ხუდადოვის ტყეში

(ნაძალადევში)

როგორც წარსულ წელს, წელსაც აღდგომიდან გაიხსნება პავილიონი „მთის ნიავი“ (Горный вѣтерокъ). არის ყოველნ. საუკეთ. გასაგრილ. სასმელები, ლუდი (პივა) და საცივი საუზმ. პავილიონთან მოწყობილია ხეივნები და მშვენიერი ჩრდილები.

(6.320.6)

ბორჯომის საზოგადო საკრებულო

ახლად შეკეთებულ და გაფართოვებულ

ბუფეტს 1 მაისიდან იჯარით

გასცემს. საკრებულოში შაბათობით ორკესტრი უკრავს. **პირობების** გასაგებად საკრებულოს მიჰმართეთ.

(6.1190.3)

იმერული შამპანიური ღვინოები,

ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში.

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და

2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

ფასები 1—20 კ. 1 50 მან. ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით.

(37.[illegible]66.0)

ფეხსაცმელები თომა დ. ჯანჟარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.

იყიდება ყოველნაირი ფეხსაცმელი ქალისა, კაცისა და ბავშვისა, აგრეთვე ვიღებთ შემოკვეთიდაც, ვამზადებთ საუკეთესო მასალისაგან ზომიერ ფასებში და ვასრულებთ პირნათლად. ადრესი: მუხრანის ქ., № 2.

(25—285—29)

ქ. გორში (ბედაბეურის მიდამოში) იყიდება ... მშვენივრად ... ვენახი—... ზომით ერთი 600, და მეორე 1200 ... მათში იმყოფება ქვიტკირის ნანლი, სათონე—მარნით. ცნობებისათვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართვა: ქ. **ტფილისში,** ნიკოლოზის ქ. № 75, **ა თ-ძე მიროტინს, გორში**—ფოტოგრაფ **ქარუმიძეს.**

(10.3.9.9)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ... მ. 60 კ. გირ. ბრინჯის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, შამაია და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—38)

თევზის მრეწველნი ძმ. ძმებელოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

მევენახეთა და მებაღეთა საყურადღებოდ. ახალი სითხე უაკმენისა

ქუთაისი ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის საწყობში

მიღებულია და იყიდება ვენახისა და ხეხილების სხვა და სხვა სენის საქიმოდ, (შაბიამნისა და გოგირდის გარდა) ახლათ შემოღებული სითხე **უაკმენისა,** რომელიც ნაცადი არის როგორც სხვა და სხვა ქვეყნებში ისე ქუთაისის გუბერნიაშიც და ძრიელ სასურველი შედეგიც მოიტანა. **უაკმენის** სითხით აქიმობა შეიძლება იმავე მანქანით, რომლითაც აქიმობენ შაბიამანს. ვინც **უაკმენის** სითხით უაქიმებს მაშინ გოგირდით აქიმობა **არ** არის საჭირო. დარიგება და **პრეისკურანტი** მსურველებს გაეგზავნებათ უფასოდ. **უაკმენის** სითხე იყიდება ქუთაისის გარდა შემდეგ ალაგებში: **ყვირილაში** ძმათა ბებიაშვილებთან და სიხარულიძე-მამალაძესთან. **ძირულაში** პეტრე ნიორაძესთან. **სვირში** სამუელ ლვალაძესთან. **სამტრედიაში** ივანე და ნიკ. ჯანელიძეებთან და ქართველიშვილ-ნაცვალაძესთან. **ახალ-სენაკში** ნიკო შონიასთან **ფოთში** ხოფერია-კინწურეიშვილთან. **ხონში** ერისტო ჭავჭანიძესთან. **ჩხარში** არტემ სიმონგულოვთან და **ბაღდათში** ანტონ ბუცხრიკიძესთან უმთავრესი საწყობი ქუთაისის გუბერნიისათვის ქუთაისში ნიკ. მ. ჯანელიძის სავაჭროსთან. ადრესი ფოსტის და დეპეშის: ქუთაისი ჯანელიძე.

8—1193—3)

სააქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

(დაარსებული 1860 წ.).

იზმაილოვის პროსპ., № 27.

პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

სატუალეტო ძმარი

ХИМИЧЕСКАЯ
С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ
ЛАБОРАТОРІЯ

ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—9)

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამხ-სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411, ქუთაისში — პუშკინის ქუჩა № 5.**

(25.1160.9)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —

—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პატარაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოძიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—58 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.